პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 300 (10997) | კვირა, 22 დეკემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1958 წლის სახელმწიფო კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების მოხსენებათა მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ სულ შემოსავლის ნაწილში 642.965.172 ათასი მანეთის ოდენობით და სულ გასავლის ნაწილში 627.742.125 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 15.223.047 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 2. დაწესდეს სსრ კავშირის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სულ 570.314.047 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს სსრ კავშირის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — ძძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 257.150.818 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს სსრ კავშირის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, ბიბლიოთეკების. კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობისა და განათლების და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, სანატორიუმების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 212.768.033 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 5. დაწესდეს სსრ კავშირის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვით 96.293.275 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დაწესდეს სსრ კავშირის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახავად 11.962.901 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 7. დამტკიცდეს 1958 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 326.354.076 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 311.131.029 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 15.223.047 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 8. დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები სულ 319.732.907 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

	(ათას მანეთობით)
რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	190.285.048
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	58.421.285
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	9.650.786
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	8.589.376
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	19.596.761
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	5.339.467
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	5.062.167
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.838.537
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.467.058
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.813.062
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.747.818
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.384.280
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.554.064
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.608.844
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.374.354

დამტკიცდეს 1958 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) ბრუნვის გადასახადის შემოსავლიდან: რუსეთის სფს რესპუბლიკის ბიუჯეტში — 31,4 პროცენტი, უკრაინის სსრ — 39,9 პროცენტი, ბელორუსიის სსრ — 54,6 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 34,2 პროცენტი, ყაზახეთის სსრ — 100 პროცენტი, საქართველოს სსრ — 55,3 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ — 60,1 პროცენტი, ლიტვის სსრ — 76,5 პროცენტი. მოლდავეთის სსრ— 23,6 პროცენტი, ლატვიის სსრ — 29,2 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ — 77,3 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ — 63.7 პროცენტი, სომხეთის სსრ — 70,4 პროცენტი, თურქმენეთის სსრ — 81,2 პროცენტი, ესტონეთის სსრ — 52,4 პროცენტი;

ბ) მოსახლეობისაგან საშემოსავლო გადასახადის შემოსავლიდან — 50 პროცენტი, სსრ კავშირის უცოლშვილო, უქმარშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან — 40 პროცენტი და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო სესხზე ხელმოწერის შემოსავლიდან — 80 პროცენტი;

გ) თანხიდან, რომელსაც სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროები ათავსებენ სახელმწიფო სესხში 1958 წლის ანაბრების ნაშთის მატების ხარჯზე. და 1958 წელს 3-პროცენტიანი სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის გავრცელების თანხიდან — 50 პროცენტი.

კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და სატყეო შემოსავლისაგან შემოსული თანხები, დაწყებული 1958 წლის 1 იანვრიდან, მთლიანად ჩაირიცხოს მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში.

გამოეყოს 1958 წელს ყაზახეთის სსრ ბიუჯეტს საკავშირო ბიუჯეტის სახსრებიდან 3.121.811 ათასი მანეთი იმ ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველსაყოფად, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 20 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც მოამზადა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად, შესწორებებით, რომლებიც შეიტანეს პალატების საბიუჯეტო კომისიებმა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია პალატების საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატთა მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 20 დეკემბერი.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1957 წლის 21 დეკემბერს

ამხანაგო დეპუტატებო!

ნება მიბოძეთ გამოვთქვა აზრი თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხზე. მე სავსებით ვეთანხმები საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. გრომიკოს პასუხს უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შეკითხვაზე.

თუ ვილაპარაკებთ უკანასკნელი დროის ყველაზე დიდ საერთაშორისო მოვლენებზე, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულისა და კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირების შესახებ.

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავი გადაიქცა მშვიდობისა და სოციალიზმის იდეების გამარჯვების, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ყველა სოციალისტური ქვეყნის წარმატებების, მათი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის საერთაშორისო დემონსტრაციად.

ოქტომბრის მეორმოცე წლისთავის დღესასწაულის დღეებში მოსკოვში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა და 64 ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირები. ამ თათბირებზე მიღებულ იქნა ისტორიული დოკუმენტები — დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი.

როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების შედეგების შესახებ, ამ თათბირებმა ცხადყო სოციალისტური ბანაკისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შემდგომი მჭიდროდ დარაზმვა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საფუძველზე. მსოფლიო ისტორიის თანამედროვე ეტაპზე მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში კომუნისტების უმნიშვნელოვანესი ამოცანების შემუშავება და გამოცხადება, მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის კონსოლიდაცია და მომძე პარტიების ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება — ასეთია თათბირების ძირითადი შედეგები. ამ თათბირების ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი მოასწავებენ მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უდიდეს იდეურ და პოლიტიკურ გამარჯვებას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების გამარჯვებას. შედეგები ამ თათბირებისა, რომლებიც ამხანაგობისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა, გამანადგურებელი ლახვარია იმპერიალისტური რეაქციის გეგმებისადმი, რომელმაც ამ ბოლო დროს ცოტა ღონე როდი იხმარა, რათა გათიშვა შეეტანა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში.

ყველა ქვეყანაში მილიონობით კომუნისტის, მშრომელთა უფართოესი მასების მიერ მხურვალე მოწონება თათბირებზე მიღებული დოკუმენტებისა — დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტისა ნიშნავს იმპერიალისტებისა და მათი ლაქიების იმ იმედების მარცხს, რომ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში „კრიზისი“ დადგებოდა.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაცია მაგალითია მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარებისა სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების კოლექტიური გამოცდილების განზოგადების საფუძველზე.

მშვიდობის მანიფესტს, რომელიც მიღებულია ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის თათბირზე, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში. როგორც ცნობილია, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის დელეგაცია მონაწილეობდა ყველა ქვეყნის მომძე პარტიების თათბირში და მშვიდობის მანიფესტის მიღებაში. ეს ფაქტი ახალი წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენს პარტიასთან და სხვა კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან იუგოსლავი კომუნისტების შემდგომი დაახლოების საქმეში. მაგრამ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირს მონაწილეობა არ მიუღია სოციალისტური ქვეყნების მომძე პარტიების თათბირში და დეკლარაციის ხელმოწერაში. არის თუ არა ეს უარყოფითი მომენტი? რა თქმა უნდა, არის, რადგან ეს მოწმობს, რომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირსა და სოციალისტური ქვეყნების ყველა სხვა კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის ჯერ კიდევ არის უთანხმოებანი მთელ რიგ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ საკითხებში. მაგრამ ცხადია, რომ ახლა ეს უთანხმოებანი ნაკლებია, ვიდრე წინათ იყო. ბევრ დიდმნიშვნელოვან საკითხში იუგოსლავი კომუნისტები გამოდიან ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან ერთად. ჩვენ კვლავაც განვახორციელებთ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მომძე ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას და ვეცდებით განვამტკიცოთ ურთიერთობა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირთან მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევი პრინციპების საფუძველზე, გადავლახოთ ჯერ კიდევ არსებული უთანხმოებანი იდეოლოგიურ და პოლიტიკურ საკითხებში.

თათბირებზე მიღებულ დოკუმენტებში ბევრი კარგი რამ არის ნათქვამი ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შესახებ, რომელმაც პირველმა მოახდინა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია და მოიპოვა ისტორიული გამარჯვებანი კომუნიზმისათვის ბრძოლაში. **(მქუხარე ტაში).**

შემთხვევითი როდია, რომ სოციალიზმის მტრები მთავარ ცეცხლს მიმართავდნენ და მიმართავენ ყველა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ უჩვენეს მაგალითი რევოლუციური ბრძოლისა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, მუშათა კლასის ინტერესებისათვის, მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ამიტომ მტრებს სურთ დაამცირონ საბჭოთა კავშირის როლი რევოლუციურ მოძრაობაში, ცდილობენ ხალელი გაუტეხონ მას. მაგრამ მათ ეს დღემდე ვერ მოახერხეს და მომავალშიც ვერ მოახერხებენ. **(ტაში).** მათ სურთ გათიშონ რევოლუციური კომუნისტური და მუშათა პარტიების ლენინისეული, გათიშონ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა. ისინი ცდილობენ ერთი სოციალისტური ქვეყანა დაუპირდაპირონ მეორეს, შეასუსტონ რევოლუციური ძალების დარაზმულობა.

იმპერიალისტები ცდილობენ თავიანთი ვერაგული ტაქტიკა, რომელიც მიმართულია სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის გასათიშავად, შენიღბონ მსჯელობით იმის შესახებ, რომ ისინი თითქოს ზრუნავენ ცალკეული ქვეყნების „დამოუკიდებლობისათვის“. როცა იმპერიალისტური წრეები ბრძოლას ეწევიან სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის წინააღმდეგ, ისინი თავს გვაჩვენებენ ცალკეულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის დამცველებად. ხოლო როცა ისინი ამბობენ, რომ საჭიროა კაპიტალისტური ქვეყნების გაერთიანება სამხედრო ბლოკებად, მაშინ თავიანთი პარტნიორებისაგან ამ გაერთიანებისათვის მოითხოვენ დათმონ თავიანთ სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, ამტკიცებენ რა, რომ აბსოლუტური სუვერენიტეტი არ არსებობს, რომ ეს ანაქრონიზმია.

ჩვენ კვლავაც ფხიზელნი უნდა ვიყოთ, არ უნდა შევაყვანინოთ თავი შეცდომაში, მტკიცედ და თანმიმდევრულად განვახორციელოთ პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების შემჭიდროებას, მათს ერთიანობას, განვახორციელოთ მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების საფუძველზე ყველა ქვეყანას შორის თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების პოლიტიკა.

კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირების შედეგებმა ცხადყო, რომ სავსებით ჩაიფუშა საერთაშორისო რეაქციის ვარაუდი — გათიშვა შეეტანა, შეესუსტებინა სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა, ძირი გამოეთხარა საბჭოთა კავშირის პრესტიჟისათვის, შეესუსტებინა მომძე პარტიების კავშირი ჩვენი ქვეყნის კომუნისტურ პარტიასთან. თათბირების მუშაობამ დაადასტურა ყველა მომძე პარტიის ღრმა სიმპათიები ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი. სსრ კავშირის ყველაზე დაუძინებელი მტრები ახლა იძულებული არიან აღიარონ საბჭოთა კავშირის ავტორიტეტის ურყევობა მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალში, ყველა მომძე პარტიის დიდი ნდობა ჩვენი კომუნისტური პარტიისადმი. **(მქუხარე ტაში).**

ამ ნდობაზე კომუნისტებისა და ყველა საბჭოთა ადამიანის საუკეთესო პასუხი იქნება ჩვენი თავდადებული ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, საბჭოთა ქვეყნისა და მთელი სოციალისტური ბანაკის ძლიერების შემდგომი გადიდებისათვის, დაუცხრომელი ბრძოლა ხალხთა შორის მშვიდობისათვის, მთელ მსოფლიოში მშრომელებთან და დემოკრატიულ ძალებთან მეგობრობის განმტკიცებისათვის. **(მქუხარე ტაში).**

მადლობას ვუძღვნით ყველა ჩვენს მეგობარს ნდობისათვის და ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის დამსახურების აღიარებისათვის. ჩვენ ვუცხადებთ ყველა მეგობარსა და ამხანაგს, რომ კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ჩვენ ახლა ისევე მხნე და ახალგაზრდანი ვართ, როგორც მხნე და ახალგაზრდანი ვიყავით იმ დღეებში, როცა დიდი ოქტომბრის გამარჯვებისაკენ მივდიოდით, როგორც იმ დღეებში, როცა ვიბრძოდით სამოქალაქო ომის ფრონტებზე, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ შევინარჩუნეთ დიდი რევოლუციური გაქანება და პირობას ვაძლევთ ამხანაგებს მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლაში, რომ მუდამ ვიქნებით მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულნი. კვლავაც მივიჩნევთ თავს მოწინავე რაზმად, რომელმაც მაღლა ასწია ლენინის დროშა და ლენინის მეთაურობით პირველმა მიიტანა იერიში კაპიტალიზმზე და წარმატებით მიაქვს ეს დროშა 40 წლის განმავლობაში. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ პირობას ვიძლევით, რომ ლენინის დროშა მაგრად გვიჭირავს ხელში, მტკიცე რწმენით ვივლით წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. შეუპოვრად ვიბრძოლებთ მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ყველა სოციალისტური ქვეყანა თანმიმდევრულად ახორციელებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, „ცივი ომისა“ და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობის დამყარების ხაზს. ეს ხაზი გამომდინარეობს სოციალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის თვით არსიდან. ამ ხაზს მხარს უჭერს ევროპის და, განსაკუთრებით, აზიისა და აფრიკის ბევრი სახელმწიფო. სულ უფრო ფართო გაქანება ეძლევა ხალხთა მოძრაობას მშვიდობისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებში.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ ისიც, რომ დღითიდღე სულ უფრო მეტი ხდება იმ მოღვაწეთა რიცხვი, რომლებიც მოითხოვენ „ცივი ომის“ პოლიტიკის შეწყვეტას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, იმას, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობა მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე შენდებოდეს.

ჩვენ მივესალმებით გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებს ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ნერუს, ინდონეზიის პრეზიდენტს სუკარნოს, ბირმის პრემიერ-მინისტრს უ ნუს, ეგვიპტის პრეზიდენტს ნასერს, სირიის პრეზიდენტს კუატლისა და სხვა სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან მშვიდობის საქმისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

„ცივი ომის“ პოლიტიკას აკრიტიკებენ სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელი ადამიანები: თავისუფალი პროფესიების ადამიანები, მეწარმეები, პოლიტიკური მოღვაწეები. წინადადებებს იმის შესახებ, რომ საჭიროა საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის უფრო რეალისტური შეფასება, გამოთქვამენ ამ ბოლო დროს ისეთი სხვადასხვა მოღვაწეები, როგორიც არიან კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი სმიტი, ინგლისელი ფილოსოფოსი რასელი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში კენანი, მეწარმე იტონი, ჟურნალისტი ჰერსტი და კაპიტალისტური ქვეყნების ბევრი სხვა საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე.

მშვიდობისმოყვარე ხალხები მიესალმებიან ამგვარ განცხადებებს, რადგან მათ ესმით, თუ რას ნიშნავს ომი თანამედროვე პირობებში.

მაგრამ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეები ჯიუტად ახორციელებენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გამწვავების, აგრესიული სამხედრო ბლოკების შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების, გამალებული შეიარაღების განგრძობის ხაზს. ამ წრეებს, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ ხალხთა ინტერესებს, არა სურთ უარი თქვან თავიანთ აგრესიულ კურსზე საგარეო პოლიტიკაში. ისინი ასრულებენ ერთი მუჭა, მაგრამ გავლენიანი მონოპოლისტების ნებას, რომლებსაც სურთ გააძლიერონ და შეინარჩუნონ „ცივი ომის“ მდგომარეობა იმ პერსპექტივით, რომ იგი გადაიზრდება „ცხელ ომად“. რა ესაქმებათ მათ ხალხთა ინტერესებთან! მათ ნაკლებ აღელვებთ კაცობრიობის ბედი, ისინი ხელმძღვანელობენ იმის წყურვილით, რომ გამდიდრდნენ უბრალო ადამიანთა წამებითა და ტანჯვით. იმპერიალისტებს აქვთ საკუთარი დევიზი — რაც უარესია მშვიდობის საქმისათვის, მით უკეთესია მოგების საქმისათვის. შეშფოთების მდგომარეობა, ადამიანთა შიში ატომური ომის შესაძლებლობის წინაშე სწორედ ის ხელსაყრელი ვითარებაა, რომლის დროსაც იმპერიალისტებისათვის ყველაზე ადვილია განახორციელონ თავიანთი გეგმები, წაგლეჯონ გადასახადის გადამხდელებს ფული შეიარაღებისათვის.

ხალხებს მობეზრდათ ომის ისტერია, ნერვებზე თამაში. მათთვის აუტანელი გახდა გადასახადთა ტვირთი, რომელიც თავისი სიმძიმით აწვება უწინარეს ყოვლისა შრომის ადამიანებს. რომ გამოიანგარიშონ, რა ჯდება გამალებული შეიარაღება ყველა ქვეყანაში, ადამიანები შეძრწუნდებოდნენ. ისინი გაიგებდნენ, თუ რა ფუჭად იფლანგება ეროვნული სიმდიდრე, რომელიც სხვა პირობებში შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ხალხთა ცხოვრების დონის ასამაღლებლად, ეკონომიკისა და კულტურის განსავითარებლად.

საკითხი ასე დგას: თუ გვინდა, რომ საქმე წავიდეს მშვიდობისაკენ, მშვიდობიანი გზით სადავო საკითხების მოწესრიგებისაკენ და არა ატომური ომისაკენ, რომელსაც კატასტროფული შედეგები მოჰყვება, იმპერიალისტებმა ბოლო უნდა მოუღონ „ცივი ომისა“ და გამალებული შეიარაღების პოლიტიკას, ხელი აიღონ იმედზე, რომ მონოპოლიების საამებლად ძალით შეცვლიან მსოფლიოს. „ძალის პოზიციის“ იმპერიალისტური პოლიტიკის მთელი აზრი ხომ ის არის, რომ აიძულონ საბჭოთა კავშირი მიიღოს დასავლეთის ქვეყნების ულტიმატური მოთხოვნები და „მოაწესრიგონ“ ზოგიერთი პოლიტიკური საკითხი იმპერიალისტებისათვის ხელსაყრელი პირობებით.

მაგალითად, დასავლეთის სახელმწიფოებს სურთ „მოაწესრიგონ“ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საკითხი. მაგრამ რას გულისხმობენ ისინი ასეთი „მოწესრიგებით“? მათ სურთ ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის გზით, ხალხთა ნების საწინააღმდეგოდ, მოსპონ მშრომელთა სოციალისტური მონაპოვარი და აღადგინონ კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება. იმპერიალისტები ძალიან ბევრს ლაპარაკობენ აგრეთვე გერმანიის საკითხის „მოწესრიგებაზე“. მაგრამ როგორ ესმით მათ ასეთი „მოწესრიგება“? მათ სურთ „გააერთიანონ“ გერმანია დასავლეთ გერმანიასთან, აღმოსავლეთ გერმანიის შეერთების გზით, ესე იგი გერმანიის [illegible] ფედერაციული რესპუბლიკის სოციალისტურ [illegible] ლიკვიდაციისა [illegible] გერმანიის სამხედრო-ეკონომიური [illegible] ბლოკებ[illegible]ის გზით, ისე რომ ამ გზით გაერთიანებული გერმანია შეიყვანონ აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში. როგორც ხედავთ, მათ სურთ, რომ ჩვენ შეგნებულად დავთანხმდეთ გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის გაძლიერებაზე.

რით განსხვავდება პოლიტიკური საკითხების ასეთი „მოწესრიგება“ დიქტატისაგან, ულტიმატუმების პოლიტიკისაგან. ასეთ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ არასოდეს არ ჰქონია წარმატება, მით უმეტეს მას წარმატება არ ექნება ახლა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ ვეუბნებით დასავლეთის ქვეყნების და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს — გადააგდეთ თქვენი „ძალის პოზიციის“ ოგონჯარი და უკვე საკმაოდ სახელგატეხილი პოლიტიკა ისტორიის სანაგვეზე. მისი ადგილი იქ არის! **(ხანგრძლივი ტაში).**

მოდით სადავო საკითხები გადავჭრათ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით და საღად, უდიქტატოდ, თანასწორუფლებიან საწყისებზე განვიხილოთ საკითხები, რომლებიც აღელვებენ კაცობრიობას, გამოვრიცხოთ ომი როგორც საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის საშუალება, ვაღიაროთ სტატუს-კვო, ესე იგი ვაღიაროთ მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობა, როცა არსებობენ სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოები, ნუ ჩავერევით ერთმანეთის საშინაო საქმეებში.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ, რა მწვავეც უნდა იყოს იდეოლოგიური უთანხმოებანი ორ სისტემას შორის — სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის, — სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხები უნდა გადავჭრათ არა ომის გზით, არამედ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. ჩვენ შემოგვაქვს წინადადება, რომ მშვიდობიანი შეჯიბრებით შეიცვალოს შეჯიბრება ახალ სახეობათა იარაღის გამოგონებაში. საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვება გადაწყდება არა რაკეტებით, არა ატომური და წყალბადის ბომბებით, არამედ იმით, თუ რომელი წყობილება უფრო მეტად უზრუნველყოფს მატერიალურ და სულიერ სიკეთეს ადამიანისათვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სოციალისტური წყობილება საზოგადოების ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა. დაე დაამტკიცოს თავისი უპირატესობა საზოგადოებრივი წყობილების ამა თუ იმ სისტემამ არა ომის, არამედ მშვიდობიან სარბიელზე, საზოგადოების საწარმოო ძალების, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარებაში, ადამიანის ცხოვრებისათვის უკეთესი პირობების შექმნაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

აბა თქვით, რა არის აქ მიუღებელი ყველა სახელმწიფოსათვის, რა სისტემაც უნდა ბატონობდეს ამ სახელმწიფოებში? მაგრამ დასავლეთის ყველაზე აგრესიულ იმპერიალისტურ წრეებს არა სურთ „ცივი ომის“ ლიკვიდაცია და ეძებენ ყოველგვარ საბაბს, რათა განაგრძონ იგი. იმპერიალისტური წრეები ცდილობენ დააშინონ სსრ კავშირი და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, იმედი აქვთ რა ამრიგად აიძულონ საბჭოთა კავშირი დახარჯოს მეტი სახსრები სამხედრო მრეწველობაზე, მოუსპონ მას შესაძლებლობა განავითაროს ხალხისათვის მოხმარების საშუალებათა წარმოება.

აი როგორ არის საქმე. იმპერიალისტებს ცეცხლზე მეტად აშინებთ მშვიდობიანი შეჯიბრება სოციალისტურ სისტემასთან.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები არავის არ ემუქრებიან ომით, ისინი არ ფიქრობენ ძალით მოახვიონ ვისმეს თავს თავიანთი ფიქრები და მოქმედება. ერთადერთი, რასაც ისინი მოითხოვენ, — ეს არის ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა. **(ტაში).** ჩვენ გვსურს მივაღწიოთ ურთიერთ გაგებას, დავამყაროთ ნდობა სახელმწიფოთა შორის, ბოლო მოვუღოთ საომარი ვნებათაღელვის გაღვივებას და დავამყაროთ სიმშვიდე, მივცეთ ადამიანებს შესაძლებლობა მშვიდობიანად იშრომონ.

თითქოს ცხადია. მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან, ეს პროპაგანდაა! დიახ, ეს პროპაგანდაა, მაგრამ არა ომის, არამედ მშვიდობის პროპაგანდა, რადგან საბჭოთა კავშირში, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, ომის პროპაგანდა ითვლება უმძიმეს დანაშაულად და იდევნება კანონით. რა არის ცუდი პროპაგანდაში, რომელიც მშვიდობისაკენ მოუწოდებს! ჩვენ მზადა ვართ ასეთივე პროპაგან

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1957 წლის 21 დეკემბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

სავლეთის ქვეყნების მმართველი წრეები ვერაფერს დაუპირდაპირებენ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, გარდა საომარი, აგრესიული პოლიტიკისა.

უკანასკნელ დღეებში მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია საბჭოთა კავშირის მთავრობის წერილები ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, თურქეთის, ნორვეგიის, დანიის მთავრობებისადმი, ნატოს წევრი სხვა ქვეყნების მთავრობებისადმი, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის მთავრობებისადმი. საბჭოთა კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივას იწონებს და მხარს უჭერს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმე.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის 1958 წლის 1 იანვრიდან არ აწარმოოს ატომგულის იარაღის რაიმე აფეთქება, თუ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ამასვე იზამენ. საბჭოთა კავშირი წინადადებით მიმართავს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს, რომლებსაც ატომური და წყალბადის იარაღი აქვთ, უარი თქვან ამ იარაღის გამოყენებაზე. საბჭოთა კავშირის წინადადებაა დაიშალოს ყველა სამხედრო ბლოკი და დამყარდეს კოლექტიური უშიშროების სისტემა ევროპასა და აზიაში ან ხელშეკრულება მაინც დაიდოს თავდაუსხმელობის შესახებ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამჟამად არის სავსებით რეალური პირობები, რათა შეიქმნას ევროპაში ატომური და წყალბადის იარაღისაგან თავისუფალი ზონა.

ჩვენ ვაყენებთ წინადადებას მიღწეულ იქნას მდგომარეობის ნორმალიზაცია ახლო და შუა აღმოსავლეთში; დაიდოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ; მიღებულ იქნას ღონისძიებანი ომის პროპაგანდის შესაწყვეტად; გაფართოვდეს ვაჭრობა, მეცნიერული, კულტურული და სპორტული ურთიერთობა. ჩვენი წინადადებაა აღმოიფხვრას დისკრიმინაცია და შეზღუდვები, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას საფუძვლად დაედოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემა, თავდაუსხმელობა, ერთიმეორის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური მიზეზებით, თანასწორობა და ურთიერთ სარგებლობა, მშვიდობიანი თანაარსებობა.

ასეთია ჩვენი წინადადებანი. ისინი ნაკარნახევია საბჭოთა მთავრობის გულწრფელი მისწრაფებით მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისადმი. ჩვენი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა სისუსტით როდია ნაკარნახევი. მართებულია გავიხსენოთ, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, მისი წინადადებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საჭიროების შესახებ ნაკარნახევია თითქოს ჩვენი ეკონომიური სისუსტით და ტექნიკური ჩამორჩენილობით. და ამიტომ, ამბობდნენ ისინი, ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ საბჭოთა კავშირზე, ძალის დამუქრებით ვაიძულოთ იგი დაადგეს პოლიტიკურ დათმობათა გზას, ხოლო თუ გაგვვიდა, თავის იდეოლოგიაზეც კი ხელი ავაღებინოთო. რით დამთავრდა ასეთი გეგმები, ეს კარგად არის ცნობილი.

იმედის დამყარება საბჭოთა კავშირის სისუსტეზე და იმის ცდები, რომ მასთან ურთიერთობაში განახორციელონ დიქტატის პოლიტიკა, ფუჭი და უჭკო იყო როგორც წარსულში, ისე ამჟამად.

ვინ ვერ ხედავს ახლა, რომ ჩვენი ქვეყანა განიცდის თავისი ძალების სრულ აყვავებას, ვის შეუძლია ახლა ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ საბჭოთა კავშირის ხალხების, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხების, მთელი პროგრესული ძალების ხელშია ისეთი მძლავრი საშუალებანი, რომლებსაც შეუძლიათ ალაგმონ სამხედრო ავანტიურათა ყველა მოყვარული. ახლა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების ხელმძღვანელი მოღვაწენიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ საბჭოთა კავშირმა დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, რომ იგი დღითიდღე ზრდის თავის ძლიერებას.

ჩვენ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას იმიტომ ვახორციელებდით და ვახორციელებთ, რომ ეს გამომდინარეობს ყველაზე მშვიდობისმოყვარული, ყველაზე ჰუმანური საზოგადოებრივი წყობილების — სოციალიზმის ბუნებიდან.

ვინ არ იცის, რომ საბჭოთა კავშირმა არაერთხელ დაამტკიცა კონკრეტულად თავისი მშვიდობისმოყვარეობა და მისწრაფება, რომ შენელდეს საერთაშორისო ვითარების დაძაბულობა.

ბევრი დრო დაგვჭირდებოდა იმისათვის, რომ ჩამოვთვალოთ თუნდაც უმნიშვნელოვანესი კონსტრუქციული და სავსებით მისაღები წინადადებანი, რომლებიც მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს შეიტანა საბჭოთა მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან დასავლეთის ცალკე ქვეყნების განსახილველად. გარდა ამისა, რამდენი სამშვიდობო წინადადება შეიტანეს სახალხო ჩინეთმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა! ამ მშვიდობისმოყვარულ ხაბიჯებს რომ მტრულად არ ხვდებოდნენ დასავლეთის ქვეყნების იმპერიალისტური წრეები და, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატები, ფხიზლად და უწინაზრახვოდ, რეალისტურად რომ განეხილათ ეს წინადადებანი, უკვე დიდი ხანია ბოლო მოეღებოდა „ცივ ომს“, მიღწეული იქნებოდა საგრძნობი შედეგები საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში.

ავიღოთ, მაგალითად, განიარაღების პრობლემა. საბჭოთა კავშირმა არაერთხელ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია განიარაღების საკითხებზე. მის წინადადებათა მიზანია ადგილიდან დაძვრათ და, ბოლოს და ბოლოს, გამოვიყვანოთ ჩიხიდან ის საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად აღელვებს კაცობრიობას.

საბჭოთა კავშირი განიარაღების პრობლემის კარდინალური გადაწყვეტის მომხრე იყო და არის. იგი მოითხოვს ატომური და წყალბადის იარაღის სრულ და უთუო აკრძალვას, სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მის ამოღებას, ამ იარაღის არსებული მარაგის მოსპობას, შეიარაღებული ძალების, შეიარაღებისა და სამხედრო ხარჯების არსებითად შემცირებას და ამასთან სათანადო საერთაშორისო კონტროლის დაწესებას.

ამრიგად, ჩვენი მხრივ დასახულია უაღრესად რადიკალური ღონისძიებანი. ჩვენ ბევრს ვეცადეთ, რომ შევთანხმებოდით დასავლეთის ქვეყნებს განიარაღების შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივაღწიეთ შეთანხმებას იმ პოზიციის გამო, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებმა დაიკავეს ლონდონის მოლაპარაკების დროს, რაც სრულიად არანორმალურ ვითარებაში მიმდინარეობდა. განა შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში საბჭოთა კავშირს უპირისპირდებოდა ნატოში შემავალი ქვეყნების ოთხი წარმომადგენელი, რომლებიც უარყოფდნენ სსრ კავშირის ყოველ წინადადებას, მიმართულს განიარაღების შესახებ შეთანხმებათა მიღწევისაკენ. ამასთან დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებს შეცდომაში შეჰყავდათ საზოგადოებრიობა, ქმნიდნენ რა შთაბეჭდილებას, რომ წარმოებს მოლაპარაკება და მიღწეულია რაღაც დადებითი შედეგები.

სავსებით გასაგებია, რომ ასეთ მდგომარეობას ვეღარ შეეურიგდებოდით. საბჭოთა მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის უკანასკნელ სესიაზე შეიტანა წინადადება განიარაღების კომისიის შექმნის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნის შემადგენლობით. მაგრამ დასავლეთის ქვეყნების ზეგავლენით ეს წინადადება უარყოფილ იქნა.

უარყოფილ იქნა აგრეთვე ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადება განიარაღების უფრო ვიწრო კომისიის შექმნის შესახებ, რომლის მონაწილეთა შემადგენლობის ნახევარი მაინც იქნებოდნენ წარმომადგენლები სოციალისტური სახელმწიფოებისა და იმ ქვეყნებისა, რომლებიც ნეიტრალურ პოლიტიკას ახორციელებენ. ეს უაღრესად გონივრული წინადადება იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ვერ ჰპოვა გაგება და მხარდაჭერა. ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი კომისია, თუმცა რამდენადმე გაფართოებული შემადგენლობით, მაგრამ ძალთა იმავე თანაფარდობით, როგორც ყოფილ ქვეკომიტეტში. უფრო მეტიც, დასავლეთის ქვეყნებმა მიაღწიეს რეზოლუცია, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს მათთვის მისაღებ და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მიმართ ულტიმატური ხასიათის მქონე პლატფორმას. განა შეიძლება რეალისტური ეწოდოს ისეთ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის ნება თავს მოახვიოს სხვა სახელმწიფოებს, ამასთან უხეშად თელავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს, ძირს უთხრის მის საყრდენებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შექმნილია იმისათვის, რომ მშვიდობიანი გზით გადაჭრას სადავო საკითხები, რომ მისი გადაწყვეტილებანი ითვალისწინებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრის ინტერესებს და მისაღები იყონ მათთვის. აღნიშნულ რეზოლუციას კი დიქტატის ფორმა აქვს და იწვევს მთელი რიგი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების დისკრიმინაციას. საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ შექმნილ ვითარებაში იგი მონაწილეობას არ მიიღებს ისეთ კომისიაში, სადაც დიდი უმრავლესობა ეკუთვნის ქვეყნებს, რომლებიც შედიან აგრესიულ სამხედრო ბლოკებში. რა უნდა გააკეთოს ამგვარმა კომისიამ, თუ მასში არ იქნება მეორე მხარე. ასეთი კომისიის მუშაობა უნაყოფო, ჩასაფუშავად განწირული იქნება.

საბჭოთა კავშირი კვლავაც მტკიცედ ეცდება მიაღწიოს გონივრულ შეთანხმებებს განიარაღების საკითხებზე, რომლებიც თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო საკითხებია. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას დადებითი შედეგები, უარი უნდა ითქვას ცდებზე, რომ ხელოვნურად დაუკავშირონ განიარაღების საკითხების გადაჭრა, როგორც ამას დღემდე აკეთებდნენ დასავლეთის სახელმწიფოები, მაგალითად, ისეთი პოლიტიკური საკითხების გადაჭრას, როგორიც არის გერმანიის საკითხი.

საბჭოთა კავშირმა წინადადება შეიტანა მოწვეულ იქნას სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირი, რათა საქმიან ვითარებაში, თანასწორუფლებიან საწყისებზე განხილულ და გამონახულ იქნას იმ საკითხთა ურთიერთმისაღები გადაწყვეტა, რომლებიც უკვე დიდი ხანია აღელვებენ კაცობრიობას, მათ შორის განიარაღების პრობლემისაც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთ თათბირს შეიძლება წინ უძღოდეს ორი ყველაზე ძლიერი ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის წარმომადგენელთა შეხვედრა. ეჭვი არ არის, რომ თუ მიღწეულ იქნება შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, რასაკვირველია, არა სხვა ქვეყნების საზიანოდ, ვითარება მსოფლიოში მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა უკეთესობისაკენ.

ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირის დროს შეიძლება მიღწეულ იქნას დადებითი შედეგები. რა არის საჭირო ამისათვის? საჭიროა, ჯერ-ერთი, უარის თქმა იმაზე, რომ ასეთმა თათბირმა განიხილოს საკითხები, რომელთა შესახებ არსებობს იდეოლოგიური უთანხმოება, უარის თქმა იმ საკითხის განხილვაზე, თუ რა გზით უნდა წავიდეს სოციალიზმის ქვეყნებისა და კაპიტალიზმის ქვეყნების განვითარება. ამ საკითხების გადაჭრა მივანდოთ თვით ხალხს. მეორე, უნდა ვაღიაროთ სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების არსებობის ფაქტი, არ ჩავერიოთ ერთმანეთის საქმეებში, არ მივმართოთ „ცივი ომის“ საშუალებებს, უარი ვთქვათ ცდაზე ძალით შევცვალოთ არსებული მდგომარეობა. თუ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები დაიმყარებიან იმას, რომ არსებობს მხოლოდ კაპიტალისტური სისტემა, და უგულებელყოფენ სოციალისტურ ქვეყნებს, შეუძლებელი იქნება შეთანხმება ურთიერთ გაგების საფუძველზე.

თუ დასავლეთის ქვეყნები ცნობენ სტატუს-კვოს, მაშინ შეიძლება გაბედულად დავთანხმდეთ ასეთ შეხვედრაზე. მაშინ ადვილი იქნება შეთანხმება ბევრ საკითხში, პირობების შექმნა სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, ადამიანთა მყუდრო და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან: საბჭოთა კავშირთან უსარგებლოა შეხვედრა, რადგან იგი შეურიგებელია და იცავს „სასტიკ“ პოზიციას, ხოლო თუ მოხერხდა შეთანხმება რაიმე საკითხზე, საბჭოთა კავშირი თითქოს არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, არ ასრულებს თავის სიტყვას. ამგვარ მტკიცებას არავითარი საფუძველი არა აქვს.

ამაზე შეიძლებოდა არც კი შევჩერებულიყავით, რომ ამ ბოლო დროს დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთ ოფიციალურ პირს წესად არ გაეხადა მსოფლიო საზოგადოებრიობის დეზინფორმაცია. მაგალითად, ბ-ნმა დალესმა, ხოლო შემდეგ ბ-ნმა ადენაუერმა ამას წინათ განაცხადეს, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე თითქოს მიღწეულ იქნა შეთანხმება გერმანიის გაერთიანების საკითხზე, მაგრამ საბჭოთა კავშირი არ ასრულებს მიღებულ გადაწყვეტილებებსო. ასეთი მტკიცება არ შეესაბამება სინამდვილეს და ეწინააღმდეგება ფაქტებს. გაკვირვებას იწვევს, რომ ნატოს საბჭოს უკანასკნელი სესიის კომუნიკეში გამეორებულია ბ-ნ დალესის ყალბი ვერსია.

მართლაც, მოდით ვნახოთ, რაზე შეთანხმდნენ მთავრობათა მეთაურები ჟენევის თათბირზე და როგორი იყო საბჭოთა მთავრობის პოზიცია.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების დირექტივებში საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი აღნიშნული იყო, რომ „გერმანიის საკითხის გადაჭრა და გერმანიის გაერთიანება თავისუფალი არჩევნების საშუალებით უნდა განხორციელდეს გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და ევროპის უშიშროების ინტერესების შესაბამისად“.

შემდეგ, საბჭოთა დელეგაციის განცხადებაში საბოლოო სხდომაზე სპეციალურად იყო ხაზგასმული, რომ საბჭოთა მთავრობა ემყარება იმას, რომ გერმანიის საკითხის გადაჭრისას ანგარიში უნდა გაეწიოს ფაქტებს, ესე იგი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ არსებობს ორი გერმანული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომ არ შეიძლება დაისვას მათი მექანიკური შეერთების საკითხი, არ შეიძლება ორივე გერმანული სახელმწიფოს წარმომადგენელთა მონაწილეობის მიუღებლად გადაიჭრას გერმანიის საკითხი.

ბოლოს, გამოსვლაში ბერლინის მიტინგზე, მაშინვე, როგორც კი დამთავრდა ჟენევის თათბირი, გაკეთდა განცხადება, რომ საჭიროა ამ პრობლემის გადაჭრისადმი ისეთი მიდგომა, რომ „გერმანიის საკითხი გადაჭრან თვით გერმანელებმა, რომლებსაც უეჭველი: შეუძლიათ აირჩიონ გერმანიის განვითარების სწორი გზა“.

ასეთია საბჭოთა მთავრობის პოზიცია, რომელსაც იცავდა ჩვენი დელეგაცია ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე. იგი კვლავ იქნა ჩამოყალიბებული საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, რომელიც მალე გაიმართა ჟენევაში, სადაც საბჭოთა კავშირმა ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ გერმანიის საკითხი თვით გერმანელებმა უნდა გადაჭრან.

ჩვენ ახლაც ამ პოზიციაზე ვდგავართ. მაშ რა საფუძვლით ამტკიცებს ბ-ნი დალესი, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს არ ასრულებდეს თავის ვალდებულებებს. ბ-ნ დალესის განცხადებათა უსაფუძვლობა იმდენად აშკარაა, რომ ბურჟუაზიული პრესაც კი გამოვიდა ასეთ ყალბ მტკიცებათა მხილებით.

აი, მაგალითად, რას წერდა 1957 წლის 6 დეკემბერს ცნობილი ინგლისელი მიმომხილველი სკოტი გაზეთ „მანჩესტერ გარდიანში“, მხედველობაში ჰქონდა რა ბ-ნ დალესის განცხადება.

„ბ-ნ დალესს ემუქრება საფრთხე, რომ იგი შეიქმნის პროფესიონალი ანტისაბჭოელის — ისეთი ადამიანის რეპუტაციას, რომლისთვისაც საბჭოთა მთავრობის ყოველი მოქმედება საეჭვოა, ანდა უარესიც კი, იმ მიზეზის გამო, რომ ეს მოქმედება საბჭოთა კავშირისაგან მომდინარეობს, და არა თავისი ხასიათის გამო. ეს არის რეპუტაცია, რომელიც არ შეეფერება ადამიანს, რომელიც პასუხს აგებს ამერიკის საგარეოპოლიტიკური ურთიერთობისათვის. მანამდე, სანამ საჭირო და შესაძლებელია ურთიერთობა რუსებთან, უსარგებლოა ამ ურთიერთობის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა ხელში დავუტოვოთ იმ ადამიანს, რომელიც აშკარად განწყობილია არ ენდოს საბჭოთა მთავრობას, და, მაშასადამე, საეჭვო გახადოს მასთან მოლაპარაკების წარმოების ცდების ღირებულება. მაგრამ სწორედ ასეთი პოზიცია უკავია დალესს.

თავის ინტერვიუში „ბი-ბი-სის“ კორესპონდენტებისადმი ვაშინგტონში 3 დეკემბერს დალესი ამტკიცებდა, რომ რუსები პირველი ერია, რომელმაც ხელშეკრულებათა დარღვევის პრაქტიკა საკუთარი მიზნების მიღწევის რეგულარულ საშუალებად გაიხადა. მიიღო რა მონაწილეობა 12 კონფერენციაში რუსებთან ერთად, იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ამ კონფერენციებს დიდი სარგებლობა არ მოჰყოლია „უმთავრესად იმიტომ, რომ არ შეიძლება საბჭოების იმედი ვიქონიოთ მათ მიერ თავიანთი დაპირების შესრულების საქმეში“. ამ მეტად უკიდურესი მტკიცების დასასაბუთებლად დალესი შეეხო ჟენევის 1955 წლის კონფერენციას მაღალ დონეზე. იგი ამტკიცებდა, რომ ამ კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება გერმანიის გაერთიანების შესახებ თავისუფალი არჩევნების გზით და რომ ეს შეთანხმება რუსებმა მისი დადების „ორი კვირის შემდეგ“ დახიეს“.

„ასეთი მტკიცება, — წერს შემდეგ სკოტი, — სწორედ ის ბუნდოვანი ნახევარსიმართლეა, რომლითაც რუსები ესოდენ ეფექტურად სარგებლობენ თავიანთ საკუთარ პროპაგანდაში და რომელიც ზოგჯერ უფრო ნაკლებად პროფესიულ ანტისაბჭოელებს, ვიდრე დალესია, სასოწარკვეთილებაში აგდებს. სამუალებას არ აძლევს დაიჯერონ საბჭოების კეთილი განზრახვები. ის ფაქტი, რომ ინგლის-გერმანიის 5 დეკემბრის კომუნიკეში აგრეთვე გამოთქმულია უკმაყოფილება იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობას ჯერ კიდევ არ შეუსრულებია თავისი „ვალდებულება“ თავისუფალი არჩევნების გზით გერმანიის გაერთიანებისა, ნაკლებ ნახევარსიმართლედ არ ხდის ამ ფაქტს. ერთადერთი რამ, რაც შეთანხმებულ იქნა ჟენევის კონფერენციაზე მაღალ დონეზე, იყო ოთხი მთავრობის მეთაურთა დირექტივა თავიანთი საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი მომავალ მოლაპარაკებაში სახელმძღვანელოდ“...

მოჰყავს რა ნაწყვეტი მთავრობათა მეთაურების დირექტივებისა საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი, მიმომხილველი სკოტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დირექტივებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობამ იკისრა ვალდებულება მოეწყო თავისუფალი არჩევნები გერმანიაში, მიუხედავად იმისა, რაც შეიძლებოდა ან არ შეიძლებოდა შეთანხმებული ყოფილიყო სხვა დაკავშირებულ პრობლემათა შესახებ. „და მათ, ვინც დაესწრო ზედაფენების ამ კონფერენციას, — აცხადებს სკოტი, — ახსოვთ, რა თქმა უნდა, რომ რუსებისა და დასავლეთის დელეგატებს შორის უთანხმოების ცენტრალური პუნქტი იყო საკითხი. თუ რა უნდა იყოს პირველ ადგილზე — გერმანიის ერთიანობა თუ ევროპის უშიშროება. დასასრულ ორივე მხარე შეთანხმდა იმაზე, რომ ორივე პრობლემა დაკავშირებულია ერთიმეორესთან და დირექტივების ფორმულირებაც ფაქტიურად ნათლად გვიჩვენებს ამას“.

მეტად საგულისხმოა, რომ ამგვარი მოსაზრება დალესის განცხადებათა შესახებ ერთეული როდია. მეორე ინგლისელი მიმომხილველი კრენშოუ, რომელიც საბჭოთა კავშირისადმი სიმპათიით არ განირჩევა, 8 დეკემბერს წერდა ამის თაობაზე გაზეთ „ობსერვერში“:

„არ ვეხებით რა იმ ფაქტს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობაა მონაწილეობა მოლაპარაკებაში, ხოლო თუ იგი გრძნობს, რომ არ შეუძლია განახორციელოს ეს მოვალეობა, მაშინ მისი მოვალეობაა გადადგეს, დალესის მტკიცებანი პირდაპირ არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. რუსები სრულიადაც არ არღვევენ შეთანხმებებს ადვილად... როგორც ყველამ იცის, არავითარი ასეთი შეთანხმება ჟენევაში არ ყოფილა დადებული“.

ასეთია ბ-ნ დალესის განცხადებათა ფასი! განა ასეთი განცხადებანი, რომლებსაც არავითარი საფუძველი არ მოეპოვება, შეუწყობენ ხელს სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარებას, საერთაშორისო საკითხების გადაჭრისადმი სწორ მიდგომას?

ამხანაგებო! ახლახან გამოქვეყნდა დეკლარაცია და კომუნიკე ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის (ნატოს) საბჭოს სესიისა, რომელშიც მონაწილეობდნენ ამ ბლოკში შემავალი ქვეყნების მთავრობათა მეთაურები. თუ უცხოეთის პრესის გამოსვლების მიხედვით განვსჯით, უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საზოგადოებრიობის გავლენით ნატოს სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნა საბჭოთა მთავრობის წერილების საკითხი. მისასალმებელია დასავლეთის ქვეყნების მთავრობათა იმ მეთაურების გამოსვლა, რომლებიც დადებითად მოეკიდნენ საბჭოთა მთავრობის წერილებში წამოყენებულ იდეას, რომ სახელმწიფოთა მეთაურები შეხვდნენ ერთმანეთს აქტუალური თანამედროვე საერთაშორისო პრობლემების განსახილველად. დამახასიათებელია, რომ დასავლეთის ქვეყნების დელეგაციათა ბევრი ხელმძღვანელი იძულებული იყო ნატოს სესიაზე თავისი გამოსვლა დაეწყო და დაემთავრებინა სიტყვებით მშვიდობის შესახებ.

ნატოს სესიის დოკუმენტებშიც ბევრია ნათქვამი მშვიდობაზე. მაგალითად, დეკლარაციაში არის შემდეგი განცხადებანი:

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ერთგულნი, ჩვენ კვლავ ვადასტურებთ, რომ ჩვენი კავშირი არასოდეს არ იქნება გამოყენებული აგრესიული მიზნებისათვის. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გადავჭრათ საერთაშორისო პრობლემები მოლაპარაკების გზით, მივიღოთ მხედველობაში ყველას კანონიერი ინტერესები. ჩვენ ვისწრაფვით ბოლო მოვუღოთ საერთაშორისო დაძაბულობას და განზრახული გვაქვს ხელი შევუწყოთ მშვიდობას, ეკონომიურ აყვავებასა და სოციალურ პროგრესს მთელ მსოფლიოში“. ცუდი ნათქვამი როდია!

„ჩვენ, — აღნიშნულია დეკლარაციაში, — კვლავ მტკიცედ მოვითხოვთ ფართო და კონტროლდაქვემდებარებულ განიარაღებას, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლება განხორციელდეს სტადიობით, იმედგაცრუების მიუხედავად, ჩვენ მაინც მზად ვართ განვიხილოთ ყოველი გონივრული წინადადება, რათა მივაღწიოთ ამ მიზანს და მკვიდრი საფუძველი ჩავუყაროთ ხანგრძლივ მშვიდობას. ეს არის იმ შეშფოთების აღმოფხვრის ერთადერთი გზა, რომელსაც გამალებული შეიარაღება იწვევს“.

ჩვენც, საბჭოთა კავშირი, თანახმა ვართ ხელი მოვაწეროთ ასეთ განცხადებებს მშვიდობისა და განიარაღების შესახებ. მაშ ნატოს მონაწილე ქვეყნებმა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებმა რატომ არ უნდა შეიმუშაონ საერთო დეკლარაცია თავდაუსხმელობის შესახებ. რატომ არ უნდა იკისრონ ვალდებულებანი — შეწყვიტონ მოწოდება ომისაკენ, აღმოფხვრან „ცივი ომის“, გამალებული შეიარაღების მდგომარეობა, აღმოფხვრან შეზღუდვები და დისკრიმინაცია ვაჭრობაში, განავითარონ ურთიერთობა მეცნიერების, კულტურის, სპორტის დარგში?

ეს იქნება კარგი დასაწყისი, რომელიც შეესაბამება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში შემავალი ქვეყნების მთავრობათა მეთაურებმა განაცხადეს, რომ ისინი პარიზში აგრესიული განზრახვებით არ შეკრებილან. რომ ნატო მთლიანად და თვითეული ქვეყანა ცალკე არ ისახავს ომის მიზნებს, რომ ისინი ესწრაფვიან მშვიდობას და მხოლოდ ახორციელებენ ღონისძიებებს შესაძლო აგრესიისაგან თავის დასაცავად. მაგრამ რადგან დასავლეთის სახელმწიფოებს აგრესიით არავინ ემუქრება, მაშასადამე, იქმნება ხელსაყრელი ვითარება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის.

მაგრამ არ შეიძლება არ მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ნატოს სესიის დოკუმენტები მშვიდობისა და განიარაღებისადმი მისწრაფების სიტყვებთან ერთად შეიცავენ ისეთ დებულებებს, რომლებიც უარყოფენ მშვიდობისმოყვარულ განცხადებებს. როგორც ჩანს, ნატოს ორგანიზატორები სიძნელეებს განიცდიდნენ დეკლარაციისა და კომუნიკეს შედგენის დროს, რამდენადაც მათ წინაშე ძნელი ამოცანა იყო. რადგან ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი მოითხოვს „ცივი ომისა“ და გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, ისინი იძულებული გახდნენ თავიანთ დოკუმენტებში შეეტანათ მშვიდობისმოყვარული განცხადებანი. მაგრამ მათ ამ განცხადებებს იმდენი სხვადასხვა შენიშვნები, პირობები, მოთხოვნები დაურთეს, რომ სწორ დებულებათაგან ფაქტიურად აღარაფერი რჩება. და გამოდის, რომ ძალაში რჩება „ცივი ომის“ გაღვივებისა და გამალებული შეიარაღების ერთგული ინსტრუქციები.

თუ ნატოში შემავალი ქვეყნების მთავრობათა ხელმძღვანელები გულწრფელად ესწრაფვიან მშვიდობას, ისინი სრულ ურთიერთ გაგებასა და მხარდაჭერას ჰპოვებენ საბჭოთა კავშირის, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს მხრივ, რომლებსაც თავიანთ წმიდა მოვალეობად მიაჩნიათ განამტკიცონ მშვიდობა და ხალხთა უშიშროება. თუ ყველას ექნება პატიოსანი მისწრაფება მშვიდობისაკენ, ომი, როგორც სახელმწიფოებს შორის სადავო საკითხების გადაჭრის საშუალება, გამორიცხული იქნება. **(ტაში).**

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მშვიდობის ძალები და ხალხთა ნება, რომელნიც ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ გამოდიან, გაიმარჯვებენ ომის ძალებზე. ხალხები თავისას გაიტანენ და ბოლოს და ბოლოს აიძულებენ მთავრობებს საკითხის გადაჭრა მშვიდობიანი თანაარსებობის გზებზე ეძებონ. **(ტაში).**

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი კვლავაც იცდება იმას, რომ მიაღწიოს „ცივი ომის“ შეწყვეტას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარებას და მეგობრული თანამშრომლობის განვითარებას. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი ურთიერთობის დასამყარებლად დრო იქნება საჭირო. ამასთანავე არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ სამხედრო ხარჯების ტვირთი აწვება ხალხის მასებს და მილიონობით ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ინტერესები მოითხოვენ გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებას გამალებული შეიარაღების შესაწყვეტად. თუ ნატოს ქვეყნები შეასრულებენ თავიანთ განცხადებებს მშვიდობის შესახებ, საბჭოთა კავშირი განახორციელებს, როგორც მას ეს უკვე არაერთხელ გაუკეთებია, ცალმხრივ ღონისძიებებს თავისი შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ხარჯების შემდგომ შესამცირებლად, ამასთან განთავისუფლებულ სახსრებსა და ძალებს მოახმარს მშვიდობიანი მშენებლობის მიზნებს, საბჭოთა ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ პოლიტიკაში რეალისტები ვართ და არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ იმას, რომ ნატოს საბჭოს სესიის კომუნიკე შეიცავს განცხადებებს, რომლებიც ვერასგზით ვერ ეგუება სიტყვებს მშვიდობის შესახებ. გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ნატოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის განკარგულებაში გადაეცეს ბალისტიკური ყუმბარები, ატომგულის საბრძოლო მუხტების მარაგის, ატომური ბაზებისა და რაკეტული იარაღის გასაშვები მოედნების შექმნა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე პირდაპირ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს. ითვალისწინებს რა ამას, საბჭოთა კავშირი მიიღებს ღონისძიებებს, რათა განამტკიცოს თავისი თავ

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

ბი. ეს გაუგებარია. იტალიის გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ მას არსებითად არა აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ბალისტიკური და სხვა რაკეტები ისე, თუ არ დაარღვია სხვა ქვეყნების ნეიტრალიტეტი, რომლებიც იტალიას ჰყოფენ საბჭოთა კავშირისაგან. ცნობილია, რომ ბალისტიკურ რაკეტებს ფრენა შეუძლიათ მხოლოდ პირდაპირი ხაზით. ცნობილია აგრეთვე, რომ სამხედრო ბაზები და რაკეტების გასაშვები მოედნები მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ.

მაგრამ არ შეიძლება ამ რაკეტების გამოყენება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იტალიის ბაზებიდან ისე, თუ არ დაარღვიეს ავსტრიისა და იუგოსლავიის ნეიტრალიტეტი. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხები თავიანთ ხმას აღიმაღლებენ ასეთი საფრთხის წინააღმდეგ.

სინანულს იწვევს ჩვენი მეზობელი ქვეყნის თურქეთის ხელმძღვანელთა პოზიცია. თურქეთის ტერიტორიაზე ატომური ბაზები და რაკეტული მოედნები რომ არის, ეს კატასტროფის საფრთხეში აყენებს ამ ქვეყნის მშვიდობიან მოსახლეობას. ჩანს, საომრად განწყობილ თურქ ხელმძღვანელებს საკმაო წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, რამდენად მხურვალეა ის საგნები, რომლებისკენაც ისინი მიიწევენ, და ავიწყდებათ, რომ შეიძლება ხელები დაიწვან. **(ხანგრძლივი ტაში).**

ეს ეხება სხვა ქვეყნებსაც, რომელთა ხელმძღვანელები თანხმდებიან სამხედრო ბაზების შექმნაზე.

უნდა ვიფიქროთ, რომ კეთილგონიერება გაიმარჯვებს და ხელმძღვანელები, რომლებიც კისრულობენ მძიმე პასუხისმგებლობას თავიანთი ქვეყნების ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების შექმნისათვის, დროზე მოვლენ გონს და არავის მისცემენ საშუალებას, რომ ისინი დააყენონ საშიში ავანტიურების გზაზე.

ვისთვის არ არის ნათელი, რომ ატომური ბაზები და რაკეტების გასაშვები მოედნები სამხედრო კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში მიმზიდველი ობიექტები გახდებიან და მათ აგემებენ გამანადგურებელ საპასუხო დარტყმას. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ვინმე შევაშინოთ. ჩვენ ამას ვამბობთ იმისათვის, რომ გავაფრთხილოთ ყველა, თუ რა დიდი საფრთხე მოელის იმ ქვეყნებს, რომლებიც აგრესიული სამხედრო ბლოკების ორგანიზატორთა ნებასურვილით სამხედრო ბაზებად იქცევიან. ამ საქმეში ხუმრობა არ შეიძლება!

სხვების ტერიტორიებზე სამხედრო ბაზებს რომ ქმნიან, დასავლეთის ქვეყნების და, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების, ხელმძღვანელებს უნდათ დაგვარწმუნონ, რომ ეს ბაზები განკუთვნილია ხალხთა უშიშროების შენარჩუნებისათვის. მაგრამ ეს მოტყუებაა. სინამდვილეში კი თანამედროვე სამხედრო ბაზები გარდუვალად უქმნიან მოსპობის საფრთხეს მთელი ქვეყნების მშვიდობიან მოსახლეობას. თუ რამდენად დიდია ასეთი საფრთხე, შეიძლება დავინახოთ თუნდაც იმის მიხედვით, რომ ამერიკის სამხედრო ბომბდამშენთა მნიშვნელოვანი ნაწილი ატომური და წყალბადის ტვირთით დღედაღამ დაფრინავს სხვადასხვა ქვეყნების თავზე, რომლებშიც განლაგებულია ამერიკის საავიაციო ბაზები.

წარმოიდგინეთ, რომ ერთ-ერთმა ფრინავმა, შესაძლოა არა ბოროტი განზრახვით, არამედ ნერვული ფსიქიური აშლილობის ან ბრძანების არასწორად გაგების გამო შემმუსვრელი ტვირთი ჩამოაგდო რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე. მაშინ ომის ლოგიკით ამას მყისვე მოჰყვება საპასუხო დარტყმა. ამრიგად შეიძლება იფეთქოს მსოფლიო ომის ხანძარმა.

მაგრამ შეიძლება წარმოვიდგინოთ მეორე შემთხვევაც: ეგრეთწოდებული „დაკვითი“ გაფრენის დროს ტერიტორიის თავზე, სადაც განლაგებულია საავიაციო ბაზები, ჰაერში მოხდა ავარია ან გაფუჭდა ტექნიკა, ეს კი შესაძლებელია, რაც უნდა სრულყოფილი იყოს ტექნიკა. მაშინ შემმუსვრელი ტვირთი თავს დაატყდება იმ ქვეყნის მშვიდობიან მოსახლეობას, რომელსაც ეს თვითმფრინავები ვითომდა იცავენ. და შეიძლება დაიღუპოს მილიონობით ადამიანი.

როგორც ხედავთ, ხალხთა უშიშროების დაცვის საბაბით შექმნილი ატომური ბაზები შეიცავენ ამ ხალხებისათვის ყოველდღე და ყოველ საათს მომაკვდინებელ საფრთხეს. იციან თუ არა, გრძნობენ თუ არა იმ ქვეყნების ხალხები, რომელთა ტერიტორიაზეც იქმნება სამხედრო ბაზები, რომ შეიძლება ისინი გახდნენ ატომური და წყალბადის იარაღის პირველი მსხვერპლნი მშვიდობიანობის პირობებშიც კი?

სანამ გვიან არ არის, საჭიროა საზოგადოება გონს მოვიდეს და წესრიგისაკენ მოუწოდოს იმათ, ვინც ხალხთა ბედით თამაშობს. საზოგადოებამ იმდენი ძალა უნდა გამოიჩინოს, რომ დროზე ალაგმოს სამხედრო ავანტიურისტები.

იმპერიალისტური აგრესიული ბლოკების ორგანიზატორები ცდილობენ თავიანთი ნამდვილი ზრახვები დაფარონ ყვირილით იმის შესახებ, თითქოს „საფრთხე“ მოელოდეთ საერთაშორისო კომუნიზმისაგან, თითქოს იგი ესწრაფოდეს მსოფლიო ბატონობას.

მაგალითად, ნატოს სესიის დეკლარაციაში სრულიად უსაფუძვლოდ ამტკიცებენ, რომ „კომუნისტურმა ხელმძღვანელებმა კვლავ ნათლად განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ მთელ მსოფლიოში ბატონობისათვის, თუ შესაძლოა, ძირგამომთხრელი მოქმედების გზით, საჭიროების შემთხვევაში კი ძალადობის გზით“.

ნაცნობი ხერხია! კომუნისტებს მშრომელთა ინტერესებისათვის მათი მამაცური ბრძოლის ათეული წლების განმავლობაში არაერთხელ სმენიათ ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ამგვარი მტკიცებანი. მაგრამ კომუნისტები მიდიოდნენ და მიდიან თავიანთი გზით წარმატებიდან წარმატებისაკენ, შთაგონებულნი მეცნიერული კომუნიზმის კეთილშობილური იდეებით, რომელიც გამოხატავს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ძირეულ ინტერესებს. ამიტომ კომუნისტებს არ ესაჭიროებათ, რომ ვინმეს ძალით მოახვიონ თავს თავიანთი იდეები. კომუნიზმის იდეები ჩვენი საუკუნის ყველაზე მოწინავე იდეებია, ისინი ცხოვრობენ იქ, სადაც ცხოვრობს ხალხი. ამ იდეების მოსპობა არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება ხალხის მოსპობა. **(მქუხარე ტაში).**

ისტორიული განვითარების პროცესი ულმობელია. მას ვერავითარი რეაქციული ძალები ვერ შეაჩერებენ. თუ ისინი შეეცდებიან შეაჩერონ ეს პროცესი იარაღის ძალით და ომს ატეხენ, საკუთარი ხელით გაითხრიან სამარეს. ხალხები აღარ მოითმენენ იმ წყობილებას, რომელიც ომებს წარმოშობს და რომელსაც კაცობრიობისათვის ტანჯვა და წვალება მოაქვს.

ამიტომ ერთადერთი გამოსავალია ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობა, მათი მშვიდობიანი შეჯიბრება.

სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას ერთსულოვნად იწონებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. ამ იდეამ მხარდაჭერა ჰპოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის უკანასკნელ სესიაზე, რომელმაც მოწოდებით მიმართა ყველა სახელმწიფოს „მიიღონ ღონისძიებანი საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებისა და მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის, აგრეთვე მშვიდობიანი საშუალებებით დავის გადაჭრისათვის“. ამრიგად მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები მოიწონეს მსოფლიოს მეტი წილი ქვეყნების წარმომადგენლებმა.

ნატოს საბჭოს სესიის კომუნიკეში ნათქვამია, რომ მისმა მონაწილეებმა განიხილეს შუა აღმოსავლეთის მდგომარეობა და განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ამ რაიონის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. მაგრამ სესიის მონაწილეებს გამბედაობა არ ეყოთ დაეგმოთ აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, რომელიც ჩაიდინეს ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა, ქვეყნებმა, რომელთაგან ორი ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრია. რაღა წონა უნდა ჰქონდეს სიტყვებს „დამოუკიდებლობის“ და „სუვერენიტეტის“ შესახებ, თუ ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ იღვრებოდა მამაცი ეგვიპტელების სისხლი. მხოლოდ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების, და მათ შორის საბჭოთა კავშირის, ჩარევის შედეგად აღიკვეთა აგრესია, რომელიც შეიძლებოდა მსოფლიო ომად გადაზრდილიყო. **(ტაში).**

გამალებული შეიარაღების ზოგიერთი მომხრე გულახდილად აცხადებს, რომ სამხედრო დაკვეთების შემცირება თითქოს სერიოზულ სიძნელეებს გამოიწვევს ეკონომიკის განვითარებაში, მას მოჰყვება წარმოების შემცირება, უმუშევრობა. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან ხალხების ბედს.

განა შეიძლება ერთი მუჭა მონოპოლისტების ინტერესები დაყენებულ იქნას მთელი ხალხების ინტერესებზე მაღლა და მონოპოლისტთა საქმეების გამოსწორება ხდებოდეს მილიონობით ადამიანის ტანჯვით? განა არ შეიძლება კაპიტალისტური ქვეყნების უდიდესი საწარმოო სიმძლავრეები გამოყენებულ იქნას მშვიდობიანი პროდუქციის წარმოებისათვის ხალხთა საარსებო საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით? განა ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არის მილიონობით ადამიანი, რომლებიც გაჭირვებასა და ნაკლებობას განიცდიან, განა არ არის იქ ჯურღმულები და უსახლკარო ადამიანთა უდიდესი მასა? ასეთივე მდგომარეობაა ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში. განა არ შეიძლება მრავალი მილიარდი სახსრები, რაც გამალებულ შეიარაღებაზე იხარჯება, მოხმარდეს მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარებას, ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხებისათვის ეკონომიური დახმარების გაწევას, რომლებიც ღარიბნი არიან სწორედ იმიტომ, რომ მათ საუკუნეობით ძარცვავდნენ იმპერიალისტი კოლონიზატორები. **(ტაში).**

რომ მოისპოს შეზღუდვა და დისკრიმინაცია, მოიხსნას ბარიერები ვაჭრობაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ინგლისისათვის, საფრანგეთისათვის, დასავლეთ გერმანიისათვის შეიქმნებოდა მშვიდობიანი პროდუქციის გასაღების ფართო შესაძლებლობანი. ეს ხელს შეუწყობდა ყველა ქვეყნის ხალხთა ცხოვრების გაუმჯობესებას. ვაჭრობის გაფართოება, რომელიც ემყარება ურთიერთ სარგებლობას, მეცნიერული, კულტურული, სპორტული კავშირის განვითარება ხელს შეუწყობს ხალხთა დაახლოებას, მათს თანამშრომლობას მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებისას უნდა ვაღიაროთ, რომ ამჟამად იქმნება ხელსაყრელი პირობები მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის ხალხები კვლავაც ძალღონის დაუზოგავად დაიცავენ მშვიდობის საქმეს, განამტკიცებენ ხალხთა შორის მეგობრობას, განუხრელად შეასრულებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკის დიად პრინციპებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

* * *

ამხანაგო დეპუტატებო!

მალე მთავრდება 1957 წელი; ჩვენ ახალი, 1958 წლის ზღურბლზე ვდგავართ. კარგი იყო 1957 წელი! ვფიქრობ, რომ 1958 წელი კიდევ უკეთესი იქნება! **(ხანგრძლივი ტაში).**

განვლილმა წელმა საბჭოთა კავშირის ხალხებს მოუტანა დიდი წარმატებანი მრეწველობის განვითარებაში, სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, კულტურისა და სახალხო კეთილდღეობის დონის ამაღლებაში, ბრწყინვალე მიღწევები მეცნიერებისა და ტექნიკისა, წარმატებანი ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებასა და მისი ავტორიტეტის შემდგომ ზრდაში. ეს წელი აღინიშნა ჩვენი სახელოვანი მეცნიერების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების ჭეშმარიტად ისტორიული ღვაწლით, რომლებმაც მსოფლიოში პირველებმა შექმნეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები, ჩვენს პლანეტას გარს რომ უვლიან. ისინი დიდებით მოსავენ ჩვენი ხალხის წარმატებებს, სოციალიზმის იდეების გამარჯვებას, მოწმობენ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის პრაგრესს. 1957 წელი ისტორიაში შევა როგორც ისეთი წელი, რომელშიც მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავი, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ძალების შემჭიდროებისა და შესანიშნავი გამარჯვებების, საერთაშორისო იმპერიალიზმისა და რეაქციის კიდევ მეტი შესუსტების წელი.

ჩვენ მომავლის რწმენით აღსავსენი ვეგებებით ახალ, 1958 წელს. კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღება ამ წელს მიპყრობილი იქნება იმაზე, რომ შესრულდეს კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. დიდი ლენინი ჩვენს პარტიას უწოდებდა ნოვატორთა პარტიას, რადგან მისი ხელმძღვანელობით იქმნება ახალი კომუნისტური საზოგადოება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, განიხილა მომძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირების შედეგები და სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა მუშაობის საკითხი. უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიამ განიხილა და დაამტკიცა სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი 1958 წლისათვის. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღეს დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, მშრომელთა უფართოესი მასების კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლებას, შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ზრდას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ მივესალმებით მომავალ ახალ წელს სრული იმედით, რომ იგი საბჭოთა ხალხს — შემოქმედ ხალხს, მშენებელ ხალხს მოუტანს ახალ წარმატებებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ მომავალი 1958 წელი იქნეს მშვიდობიანი წელი, „ცივი ომის“ შემცირების ან სრული ლიკვიდაციის წელი, რათა ადამიანებმა იცხოვრონ ისე, რომ არ ელალვდნენ თავიანთი ბედის გამო, თავიანთი შვილების, ცოლებისა და დედების ბედის გამო, რომ შეჯიბრება ორ სისტემას შორის ვითარდებოდეს მშვიდობიან საფუძველზე, ეკონომიკისა და კულტურის, ადამიანის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების საფუძველზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შრომას ეწევა, რათა განამტკიცოს მშვიდობის საქმე. იგი მტკიცედ იბრძოლებს სესიის მიერ მიღებული გეგმების შესრულებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ვუსურვოთ ყველა საბჭოთა ადამიანს წარმატებანი შემოქმედებითს შრომაში ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, ვუსურვოთ თვითეულ საბჭოთა ოჯახს, საბჭოთა კავშირის თვითეულ მოქალაქეს კეთილდღეობა და ბედნიერება ახალ წელს! **(მქუხარე ტაში).**

დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს და მის ნაცად ბელადს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას! **(მქუხარე ტაში).**

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით — წინ კომუნიზმის მშენებლობის გზით! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1957 წლის 21 დეკემბერს

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დამავალა გაცნობოთ პასუხი დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორია სახელმწიფოთა შორის განიარაღების პრობლემის განხილვის შედეგები და ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობანი.

საბჭოთა მთავრობა სერიოზულად შეშფოთებულია იმის გამო, რომ, მიუხედავად საბჭოთა კავშირის და მშვიდობისმოყვარე სხვა სახელმწიფოთა ყველა ღონისძიებისა, რომლებიც ესწრაფვიან გამალებული შეიარაღების შეწყვეტას და ახალი ომის საფრთხის აღკვეთას, განიარაღების პრობლემა ვერ პოულობს პრაქტიკულ გადაწყვეტას. თქვენ მოგეხსენებათ, რომ განიარაღების საკითხებზე მოლაპარაკებას, რაც ათ წელიწადს გრძელდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში, შეთანხმება არ მოჰყოლია და ახლა ეს მოლაპარაკება შეწყვეტილია. ასეთი მდგომარეობის მიზეზი ის არის, რომ ჩვენს მთავარ პარტნიორებს განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაში — ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, აგრეთვე მათთან ერთად მოქმედ საფრანგეთს, როგორც ფაქტები გვიჩვენებენ, არა სურთ იკისრონ რაიმე ვალდებულება შეიარაღების შეზღუდვის და ატომგულის იარაღის დაგროვებისა და სრულყოფისათვის დაბრკოლებათა დაწესების დარგში. მივმართოთ ფაქტებს.

მაშინ როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების ქვეკომიტეტსა და კომისიაში, ხოლო პერიოდულად გენერალური ასამბლეის სესიებზეც მიმდინარეობდა უნაყოფო დისკუსიები განიარაღების საკითხებზე, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის, აგრეთვე საფრანგეთის მთავრობები პრაქტიკულად მოქმედებდნენ განიარაღების ამოცანების პირდაპირ საწინააღმდეგო მიმართულებით.

მოლაპარაკების მაგიდასთან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს თავი ისე მოაქვთ, თითქოს ცდილობენ შეთანხმებას განიარაღების საკითხებზე, მაშინ, როცა სინამდვილეში ეს სახელმწიფოები ყოველი ძალღონით ზრდიან შეიარაღებას და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში თავიანთი პარტნიორებისაგან მოითხოვენ, რომ გადასცენ ნატოს სარდლობის განკარგულებაში სულ ახალი და ახალი დივიზიები და გაადიდონ უმიმოდაც უზარმაზარი ხარჯები შეიარაღებისა. ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისისა და სამხედრო ბლოკის — ნატოს მონაწილე ზოგიერთი სხვა ქვეყნის მხარდაჭერით ყოველნაირად აჩქარებენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას იმ მიზნით, რომ ნატოს სამხედრო გეგმების სამსახურში ჩააყენონ მისი ეკონომიური და ადამიანთა რესურსები.

საბჭოთა მთავრობამ, ხელმძღვანელობს რა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა არა ერთი წინადადება იმ მიზნით, რომ განიარაღების საქმე დაეყენებინა პრაქტიკულ რელსებზე. თქვენ მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლეოდა განხორციელდეს ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვა, ამოღებულ იქნას იგი სახელმწიფოთა შეიარაღებიდან, შეწყდეს ამ იარაღის წარმოება და მოისპოს მისი მარაგი. საბჭოთა კავშირის წინადადებებით გათვალისწინებულია აგრეთვე შეიარაღებული ძალების რიცხვის, შეიარაღებისა და სამხედრო ბიუჯეტების არსებითი შემცირების განხორციელება.

საბჭოთა მთავრობა ყურადღებით სწავლობდა დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებებს, რათა გამოენახა საერთო თვალსაზრისი, გამოეყო ის, რაც მისაღებია როგორც მათთვის, ისე ჩვენთვის. მთელ რიგ შემთხვევებში საბჭოთა კავშირმა მიიღო დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი. ასე იყო, მაგალითად, დიდ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების რიცხვის ზღვრულ დონეთა დაწესების საკითხში. მაგრამ ყოველივე ეს უშედეგო აღმოჩნდა. საკმარისი იყო საბჭოთა კავშირი დათანხმებოდა დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებებს, რომ მაშინვე იქმნებოდა ახალი დაბრკოლებანი, რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები უკან იხევდნენ, უარყოფდნენ თავიანთ საკუთარ წინადადებებს, რომელთა მიღებასაც ისინი ჯერ კიდევ გუშინ დაჟინებით მოითხოვდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი წინანდებურად არიდებენ თავს განიარაღების პრობლემის გადაჭრას, უკავშირებენ შესაბამისი შეთანხმების მიღწევას მთელ რიგ გამოგონილ პირობებს, რომელთა შესრულებაც შეუძლებელია, რაც განსაკუთრებით ეხება განიარაღებისადმი კონტროლის ღონისძიებებს. ისეთ საკითხებს კი, როგორიც არის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა და მისი ამოღება შეიარაღებიდან, და სამხედრო ხარჯებისა და სამხედრო ბიუჯეტების შემცირება, სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, უცხოეთის ჯარების გაყვანა შესაბამისად ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებიდან, დასავლეთის სახელმწიფოები საერთოდ გვერდს უვლიან თავიანთ წინადადებებში. მართლ ეს ცხადყოფს, რამდენად შორს არიან ამ სახელმწიფოთა მთავრობები იმისაგან, რომ ხელი შეუწყონ განიარაღების შესახებ მოლაპარაკების წარმატებას.

გარდა ამისა, შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ შეთანხმების მიღწევას ისინი ხელოვნურად განაპირობებენ იმ პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტითაც, რომლებსაც დამოკიდებულება არა აქვთ განიარაღებასთან, როგორიც არის, მაგალითად, გერმანიის პრობლემა. ისეთ შედარებით მარტივ საკითხსაც კი, როგორიც არის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტა, ისინი უკავშირებენ განიარაღების სხვა გაცილებით უფრო რთულ საკითხებს, რომელთა გამო შეთანხმება ჯერჯერობით შესაძლებელი არ არის თვით დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის გამო.

უნდა ითქვას, რომ სრულიად არანორმალური იყო ის ვითარებაც, რომელშიც უკანასკნელ წლებში მიმდინარეობდა მოლაპარაკება განიარაღების შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის ქვეკომიტეტში, სადაც უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ძირითადად წარმოებდა ეს მოლაპარაკება, საბჭოთა კავშირს უპირდაპირდებოდა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ოთხი მონაწილე — ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და კანადა, რომლებიც გასაქანს არ აძლევდნენ არც ერთ წინადადებას, რომელიც ამ სამხედრო ბლოკის პოლიტიკას არ შეესაბამება. ამის შედეგად ქვეკომიტეტსა ერთი ნაბიჯიც კი ვერ გადადგა წინ განიარაღების შესახებ შეთანხმების მომზადების საქმეში და გადაიქცა იმ გამალებული შეიარაღების შესანიღბავ შირმად, რომელსაც დასავლეთის სახელმწიფოები აწარმოებენ.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია გარკვეული დასკვნა არ გამოიტანოს შექმნილი მდგომარეობიდან, როცა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის მთავრობები და ზოგიერთი მათი მოკავშირე ნატოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების ორგანოებს იყენებენ იმისათვის, რომ არ დაუშვან შეთანხმება, ცდილობენ ამავე დროს შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს მოლაპარაკებაში არის პროგრესი და თითქოს განიარაღების საკითხებზე შეთანხმება თითქმის კარზეა მომდგარი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის უკანასკნელ სესიაზე საბჭოთა მთავრობამ შეიტანა წინადადება შეიქმნას განიარაღების კომისია, რომელშიც შევიდოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფო. ასეთი კომისიის დაარსება შესაძლებლობას მისცემდა ყველა ამ სახელმწიფოს, როგორც დიდს, ისე პატარას, უშუალო მონაწილეობა მიეღო იმ პრობლემის განხილვაში, რომელიც ყველა ხალხს აღელვებს. რა თქმა უნდა, ეს თავისთავად საკითხს არ წყვეტს, მაგრამ მოლაპარაკების ასეთი წესი ბოლოს მოუღებდა კარდახშულ დარბაზში საკითხთა ფარულად განხილვას, შესაძლებლობას მისცემდა ხალხებს კონტროლი გაეწიათ მოლაპარაკებისათვის განიარაღების შესახებ.

განა შეიძლება ასეთი წინადადების წინააღმდეგი იყოს ის, ვინც ნამდვილად უწევს ანგარიშს ხალხთა მოთხოვნებს განიარაღების შესახებ, ვინც ეძებს გამოსავალს ჩიხიდან, რომელშიც მოლაპარაკება მოექცა? არა, არ შეიძლება.

ამავე დროს, ამ წინადადების წინააღმდეგ კატეგორიულად ილაშქრებენ დასავლეთის სახელმწიფოები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები.

გენერალური ასამბლეის სესიაზე შეტანილ იქნა სხვა წინადადებაც, რომელსაც დაეთანხმა საბჭოთა მთავრობა. საქმე ეხება ალბანეთის წინადადებას, რომელსაც მხარი დაუჭირა ბევრმა სხვა სახელმწიფომ და რომელიც ითვალისწინებს განიარაღების რამდენადმე უფრო ვიწრო კომისიის შექმნას, სადაც მონაწილეთა ნახევარი მაინც იქნებოდნენ სოციალისტური სახელმწიფოები და ის ქვეყნები, რომლებიც ნეიტრალურ პოლიტიკას ახორციელებენ. ეს წინადადება თითქოს მისაღები უნდა ყოფილიყო ყველასათვის, რადგან იმ სახელმწიფოთა უფრო ფართო მონაწილეობა, რომლებიც მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას ახორციელებენ, ხელს შეუწყობდა განიარაღების შესახებ მოლაპარაკების წარმატებას. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა ამ წინადადების წინააღმდეგაც გაიღაშქრეს, ცდილობდნენ რა შეენარჩუნებინათ თავიანთ სამხედრო დაჯგუფებათა მონაწილეების მოძალება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების ორგანოებში.

ისევე როგორც წინათ, ამერიკის შეერთებული შტატები არ მოერიდნენ უხეშ ზეგავლენას მათდამი დამოკიდებულ სახელმწიფოებზე, რათა არ დაეშვათ ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა პროდუქტიული მოლაპარაკების წარმოება.

თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული იყვნენ დათანხმებულიყვნენ არსებული კომისიის ერთგვარ გაფართოებაზე, მაგრამ ეს იმგვარად გაკეთდა, რომ მის ახალ შემადგენლობაშიც ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მოკავშირენი სამხედრო ბლოკებში კვლავ ინარჩუნებენ ხმების დიდ უმრავლესობას: ამ კომისიის 25 მონაწილიდან თექვსმეტია დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებებში შემავალი სახელმწიფო.

განიარაღების შესახებ შეთანხმების თვით იდეის ხელყოფით თუ არა, ამ იდეის დასამარების ცდით თუ არა, სხვანაირად რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა გენერალურ ასამბლეას მიაღებინეს რეზოლუცია, რომელიც ცდილობს წინასწარ განსაზღვროს, რომ განიარაღების საკითხთა შემდგომი განხილვა უნდა წარმოებდეს მათ მიერ დადგენილ ჩარჩოებში, მათი პირობებით. ასეთ მანევრებს არასოდეს არ მოუტანია და ვერც მოიტანს წარმატებას, ხოლო რეზოლუციები, რომლებიც გამოხატავენ მისწრაფებას, რომ საბჭოთა კავშირსა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს უკარნახონ მათთვის მიუღებელი პირობები, მკვდრადშობილია. ყველა ამ გარემოების გამო საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა გადაეცხადებინა, რომ იგი მონაწილეობას ვერ მიიღებს იმ კომისიის მუშაობაში, რომლის ფაქტიური დანიშნულებაა კვლავაც ხელი შეუშალოს განიარაღების საქმეს, მოატყუოს ხალხები.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები განუწყვეტლივ ესწრაფვიან იმას, რომ მოიპოვონ თავიანთთვის სამხედრო უპირატესობანი საბჭოთა კავშირის უშიშროების ინტერესების საზიანოდ და ამ მიზნით იყენებენ განიარაღებით, მშვიდობის განმტკიცებით საბჭოთა კავშირის დაინტერესებას, რომელიც ყველასათვის არის ცნობილი.

გარდა ამისა, განა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ იმითაც არ გამოააშკარავა თავისი უარი განიარაღების პრობლემისადმი საქმიან მიდგომაზე, რომ ყოველნაირად უმლის ხელს სახალხო ჩინეთის მონაწილეობას სხვა დიდ სახელმწიფოებთან თანაბრად განიარაღების საკითხების განხილვაში. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავს სულელურ მდგომარეობაში იყენებს: დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებები, რომლებიც ითვალისწინებენ განიარაღებისა ღონისძიებებს, ამ სახელმწიფოთა კონცეპციის თანახმად უნდა ვრცელდებოდეს აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, და ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ ისე იქცევა, თითქოს დიდი ჩინეთის სახელმწიფო არ არსებობდეს ქვეყნად. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ სულ უფრო მეტი და მეტი ამერიკელი აღნიშნავს ჩინეთის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი პოზიციის აბსურდულობას.

ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი დიდხანს აგებდნენ თავიანთ ვარაუდს იმაზე, რომ მათ თითქოს უპირატესობა აქვთ ატომურ შეიარაღებაში. ამიტომ ისინი ამტკიცებდნენ —რატომ განვიარაღდეთ, თუ უპირატესობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მხარეზეაო. მაგრამ ცხოვრებამ ცხადყო ასეთი ვარაუდების უსაფუძვლობა. ილუზი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1957 წლის 21 დეკემბერს

(დასასრული)

ფაქტორს წარმოადგენს, რომელსაც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ გამალებული შეიარაღების ყველაზე თავგამოდებულმა მომხრეებმაც კი. დღეს მსოფლიოში ვითარება ის აღარ არის, რაც თუნდაც რამდენიმე თვის წინათ იყო. დედამიწის საბჭოთა თანამგზავრებმა გააუმჯობესეს პოლიტიკური ჰავა ჩვენს პლანეტაზე, ისინი აკეთებენ თავიანთ დიდ საქმეს მშვიდობის სასარგებლოდ და არც თუ უკანასკნელ რიგში განიარაღების სასარგებლოდ.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს უკანასკნელი სესიის ორგანიზატორებმა ცოტა ღონე როდი იხმარეს, რომ ცდილიყვნენ გადაეფიქციათ იგი საომარი მზადებისა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკის გარშემო ნატოს მონაწილე სახელმწიფოთა დარაზმულობის მანიფესტაციად. მაგრამ ნატოს სესიამ ცხადყო, რომ ეს ვარაუდები არ გამართლდა. ბევრ რამეზე მეტყველებს უკვე ის ფაქტი, რომ სესიის მონაწილეებს მოუხდათ შეეცვალათ ვაშინგტონსა და ლონდონში შემუშავებული დღის წესრიგი და განსახილველად დაესვათ იმ მიზნებს უაღრესად დაშორებული საკითხები, რომლებსაც ეს სამხედრო ბლოკი ემსახურება. საკმარისია ითქვას, რომ ნატოს სესიის მონაწილენი იძულებული იყვნენ განეხილათ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მოლაპარაკებასთან განიარაღების შესახებ, აგრეთვე განეხილათ საბჭოთა მთავრობის წინადადებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის ამასწინანდელ წერილებში ნატოს ქვეყნების მთავრობათა მეთაურებისადმი და ნოტებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნისადმი. უცხოეთის პრესის დამოწმებით, საბჭოთა კავშირი თითქოს უხილავად ესწრებოდა ნატოს სესიის და გავლენას ახდენდა მთელ მის მსვლელობაზე. ნორვეგიის, დანიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა მოითხოვეს ამ საბჭოთა წინადადებების გულდასმით შესწავლა. აი როგორ ახასიათებდა ვითარებას სესიაზე ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“: „ის, რაც ახლა პარიზში ხდება, უდრის ჯერ კიდევ უმაგალითო მასშტაბის აჯანყებას დალესის ჩვეულების წინააღმდეგ — უარყოს საბჭოთა წინადადებანი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საბჭოთა კავშირმა გააკეთა“.

სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე რაკეტების გასაშვები ამერიკული ბაზებისა და ამ რაკეტების ატომგულის ჭურვების საწყობების ქსელის შექმნის გეგმები. ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა გერჰარდსენმა განაცხადა, რომ ნორვეგია არ აპირებს ნება დართოს, რომ მის ტერიტორიაზე შეიქმნას ატომური იარაღის საწყობები ან საშუალო რადიუსის მოქმედების რაკეტების გასაშვები დანადგარები. ასეთივე განცხადება გააკეთა დანიის სახელით პრემიერ-მინისტრმა ჰანსენმა. საბჭოთა მთავრობა ჯეროვანს უზღავს მდგომარეობის იმ საღ შეფასებას, რომელიც გამოიჩინეს სკანდინავიის დასახელებული ქვეყნების ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა.

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის დიდმა შეშფოთებამ ამერიკის იმ გეგმების გამო, რომ დასავლეთი გერმანია გადააქციონ ატომური და წყალბადის იარაღის დაგროვების ადგილად, გარკვეული გავლენა იქონია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პოზიციაზეც ნატოს სესიაზე. ფედერალურ კანცლერს ადენაუერს მოუხდა გაეკეთებინა განცხადება იმ აზრით, რომ დასავლეთი გერმანია არ აჩქარდება თავის ტერიტორიაზე რაკეტების გასაშვები ამერიკული ბაზების განლაგების საკითხის გადაჭრაში. მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება ამერიკის რაკეტული ბაზების საკითხზე, რომელიც შეიძლებოდა შეგვეფასებინა როგორც მოძრაობა დასავლეთ გერმანიის ინტერესების უფრო გონივრული გათვალისწინების მხრივ, არ შეიძლება შევუთავსოთ ადენაუერის დაბეჯითებით მოთხოვნას, რომ დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერს მიეცეს ყველა სახეობის იარაღი და დასავლეთმა გერმანიამ მონაწილეობა მიიღოს კვლევითს მუშაობაში თანამედროვე იარაღის, მათ შორის რაკეტების წარმოების დარგში.

არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ ატომური იარაღის არსებობას დასავლეთ გერმანიის იმ ძალების ხელში, რომლებმაც ვერაფერი ვერ ისწავლეს წარსული ომების გამოცდილებიდან და მხოლოდ მოელიან შესაფერ მომენტს, რომ კვლავ სცადონ დააყენონ თავიანთი ქვეყანა ომის გზაზე, შეიძლება მოჰყვეს უაღრესად სერიოზული შედეგები. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ უკვე დღეს დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი თვალსაჩინო მოღვაწე არ ერიდება განაცხადოს, რომ არ ეთანხმება ევროპის ცალკეული სახელმწიფოების არსებულ საზღვრებს. და განა ისეთი ნაბიჯი, როგორიც არის დასავლეთ გერმანიის არმიის აღჭურვა ატომური იარაღით, არ გამოიწვევდა საშიში გამალებული ატომური შეიარაღების გაჩაღებას ევროპის სახელმწიფოებს შორის?

მიუხედავად ამისა, ამბების მთელი განვითარება და ერთგვარად ნატოს უკანასკნელი სესიის შედეგები მოწმობენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში სულ უფრო ძლიერ იჩენს თავს ტენდენცია უზრუნველყონ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პირობები და შეაჩერონ გამალებული შეიარაღება. სასიხარულოა ვხედავდეთ იმას, თუ რა ფართო დადებითი გამოხმაურება და გაგება ჰპოვა ყველგან, მათ შორის ნატოს მონაწილე ქვეყნების ფართო საზოგადოებრივ წრეებში, საბჭოთა მთავრობის ამასწინანდელმა მიმართვებმა 83 სახელმწიფოს მთავრობებისადმი და მის მიერ გამოთქმულმა წინადადებებმა მშვიდობის განმტკიცების გზების შესახებ. განა ეს არ არის იმის ახალი მკაფიო დადასტურება, რომ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, რომელსაც განსაზღვრავენ კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, შეესაბამება კაცობრიობის დიდი უმრავლესობის მისწრაფებებს! **(ტაში).** იგი პოულობს მილიონობით და მილიონობით ადამიანთა მხარდაჭერას, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ომის პროპაგანდის ტყვეობაში იყვნენ. მრავალი მილიონი ადამიანი როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში იმედითა და რწმენით შეჰყურებს საბჭოთა კავშირს, რომელიც თანმიმდევრულად და მტკიცედ იცავს ხალხთა შორის მშვიდობის დიად საქმეს.

ნატოს საბჭოს სესიის მონაწილეთა ახლახან გამოქვეყნებულ კომუნიკეში არის განცხადება, რომ მზად არიან მონაწილეობა მიიღონ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირში განიარაღების საკითხებზე. ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ კომუნიკეში ამ განცხადების შეტანა იმ მძიმე მდგომარეობის შედეგია, რომელშიც აღმოჩნდნენ გამალებული შეიარაღებისა და „ცივი ომის“ სულისჩამდგმელები. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, ამ განცხადებაში კი ადვილად იცნობთ მის ხელს, დასჭირდა შეეტანა გარეგნულად დამამშვიდებელი სიტყვები, საქმით კი შეცდომაში შეჰყავს ხალხები, რომლებსაც ნამდვილად სურთ გამალებული შეიარაღებისა და „ცივი ომის“ შეწყვეტა. ხომ კარგად არის ცნობილი, რომ ერთი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების უხეში ზეგავლენით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციას განიარაღების საკითხში, ესე იგი პოზიციას, რომელიც სრულიად არ არის ნავარაუდევი განიარაღებისათვის და რომელმაც ჩიხში მოაქცია მოლაპარაკება ამ საკითხზე. ახლა ჩვენ ფაქტიურად გვთავაზობენ კვლავ მოვუსხდეთ ერთ მაგიდას ნატოს იმავე მონაწილეებთან ერთად, რომლებთანაც ჩვენ დღემდე მოთმინებით ვაწარმოებდით მოლაპარაკებას, და კვლავ დავიწყოთ უნაყოფო დისკუსია, რომელიც ერთი ნაბიჯითაც ვერ წასწევს წინ განიარაღების საქმეს.

აქ აშკარად ჩანს მისწრაფება, რომ თათბირი ნამდვილად იმისათვის მოიწვიონ, რათა წამოაყენონ თავიანთი პირობები, თავიანთი პლატფორმა მოლაპარაკებისათვის. და რადგან საბჭოთა კავშირს ამ პირობების მიღება არ შეუძლია, ვინაიდან ეს პირობები სულაც ვერ უზრუნველყოფენ განიარაღებას, ძნელი არ არის მივხვდეთ, რა მდგომარეობა შეიქმნებოდა თათბირზე. დასავლეთის სახელმწიფოები არ დააყოვნებდნენ ბრალად დაედოთ საბჭოთა კავშირისათვის დაუთმობლობა, ბრალად დაედოთ ის, რომ საბჭოთა კავშირი ფუშავს შეთანხმებას, და ამრიგად შეცდომაში შეიყვანათ საზოგადოებრივი აზრი. თვითონ განსაჯეთ, შეიძლება თუ არა ასეთ პირობებში მოველოდეთ, რომ სასარგებლო შედეგს მოიტანს ასეთი შემადგენლობით საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ამ საკითხზე?

საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც წინათ, გულწრფელად ცდილობს ხელი შეუწყოს შეთანხმებას განიარაღების საკითხებზე, „ცივი ომის“ შეწყვეტას. მრავალი წლის განმავლობაში საბჭოთა მთავრობა ხმარობდა ღონისძიებებს, რომ შეთანხმებოდა დასავლეთის სახელმწიფოებს. მაგრამ ამით არაფერი არ გამოვიდა, რადგან ამ სახელმწიფოთა ხელმძღვანელ წრეებს არა სურთ შეთანხმება.

მაშასადამე, საქმის არსი იმაში კი არ არის, რომ წინათ მოლაპარაკება წარმოებდა არა მინისტრების დონეზე, ახლა კი წინადადებას იძლევიან მოწვეულ იქნას მინისტრების თათბირი, არამედ იმაში, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა უარი თქვან სამხედრო მზადების, „ცივი ომის“ კიდევ უფრო გაღვივებისა და გამალებული შეიარაღების გაძლიერების საშიშ კურსზე, რომელსაც ისინი ახორციელებენ, და დაადგნენ პატიოსანი მოლაპარაკების გზას, რასაც მოითხოვდა და მოითხოვს საბჭოთა მთავრობა. **(ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო, განიარაღების შესახებ მრავალი წლის მოლაპარაკების მსვლელობის, აგრეთვე მხარეთა პოზიციისა და წინადადებათა ანალიზის საფუძველზე საბჭოთა მთავრობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში, რასაც ახასიათებს დაძაბულობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში, განიარაღების პრობლემის გადაჭრის რეალური გზაა სახელმწიფოთა შორის ნდობის აღდგენა და განმტკიცება. საჭიროა მოვნახოთ საერთო ამოსავალი თვალსაზრისი, და იქ, სადაც ამის საშუალებას იძლევა ახლანდელი ვითარება, გადავდგათ თუნდაც პირველი ნაბიჯი განიარაღებისაკენ. თუ დასავლეთის სახელმწიფოები მზად არ არიან ახლა შეთანხმდნენ ჩვენთან განიარაღების დარგში ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რა უშლის ხელს შეთანხმებას მორალური ხასიათის ურთიერთ ვალდებულებათა შესახებ ან შეთანხმებას იმაზე, რომ ცალ-ცალკე განვახორციელოთ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სახელმწიფოთა შორის ნდობის აღდგენას და ნიადაგს შეუქმნიან მთლიანად განიარაღების პრობლემის გადაწყვეტას.

საბჭოთა მთავრობის აზრით, ამჟამად არის შესაძლებლობა გადავდგათ ამგვარი კონკრეტული ნაბიჯები. შესაბამისი წინადადებები საბჭოთა მთავრობამ ჩამოაყალიბა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის წერილებში და სსრ კავშირის მთავრობის ნოტებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მთავრობებისადმი. გაგახსენებთ მოკლედ ამ წინადადებებს.

საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის 1958 წლის 1 იანვრიდან შეწყვიტოს ატომური და წყალბადის იარაღის ყველა გამოცდა, თუ ასეთსავე ვალდებულებას იკისრებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები. ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტა ამ სახეობის იარაღის მდგომარეობას თვითეული ქვეყანაში, რომელსაც იგი მოეპოვება, ისეთს დატოვებდა, როგორიც ეს მდგომარეობა 1958 წლის 1 იანვრისათვის იქნება. როგორც ხედავთ, საბჭოთა კავშირი, რომელიც არ ამზადებს ომს და არ სახავს რომელიმე სახელმწიფოზე თავდასხმის გეგმებს, მზად არის ხელი აიღოს ამ სახეობის იარაღის შემდგომ სრულყოფაზე. მაშრატომ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი აგრეთვე არ აპირებენ ვისმეზე თავდასხმას, არა სურთ საბჭოთა კავშირთან ერთად ხელი აიღონ ამ იარაღის შემდგომ სრულყოფაზე?

შემდეგ საბჭოთა კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს მიმართავს წინადადებით ერთად განაცხადონ უარი ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენებაზე. ეს წინადადება ადვილი განსახორციელებელია, რადგან იგი არ მოითხოვს არც რთული საერთაშორისო კონტროლის დაწესებას მისი შესრულებისადმი, არც რაიმე მატერიალურ ხარჯებს, ხოლო მას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის საქმისათვის, ამას მტკიცება არ ესაჭიროება.

საბჭოთა კავშირი და ვარშავის ხელშეკრულების წევრი სხვა ქვეყნები უკვე დიდი ხანია სთავაზობენ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრ სახელმწიფოებს დადონ ერთმანეთთან ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ნატოს მონაწილე სხვა სახელმწიფოების მთავრობებზეა დამოკიდებული ამ საკითხის გადაჭრა, რაც ბევრად შეუწყობდა ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ევროპის უშიშროების განმტკიცებას.

ზოგჯერ ასეთი წინადადების მოწინააღმდეგენი აღნიშნავენ, რომ თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულებათა თვით იდეამ თითქოს ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება. ამასთან იმოწმებენ იმას, რომ ასეთი ხელშეკრულებანი დაარღვია ჰიტლერულმა გერმანიამ. ასეთ მოსაზრებათა უსაფუძვლობა აშკარაა. ვის შეუძლია უარყოს, რომ ჰიტლერული გერმანიის მიერ სხვა სახელმწიფოებთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულებათა დარღვევით იგი მთელი მსოფლიოს წინაშე წარმოსდგა როგორც აგრესორი, რომელმაც ვერაგულად დაარღვია თავისი საერთაშორისო ვალდებულებანი. განა ამან ხელი არ შეუწყო ჰიტლერული გერმანიის საერთაშორისო პოლიტიკურ იზოლაციას და ანტიჰიტლერული კოალიციის ძალების შემჭიდროებას? სახელი გაიტეხა არა თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულებათა იდეამ, არამედ ამ ხელშეკრულებათა დამრღვევმა. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვიკითხოთ, იმიტომ ხომ არ ეჩვენება ზოგ ვინმეს თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულებათა იდეა მიუღებლად, რომ ეს იდეა ჩვენს დროშიც სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის იმათ, ვინც აგრესიულ გეგმებს ისახავს?

სერიოზული ყურადღების ღირსია წინადადება, რომ ევროპაში შეიქმნას ატომური და წყალბადის იარაღისაგან თავისუფალი ზონა, რამდენადაც არის სავსებით რეალური წანამძღვრები ამ წინადადების პრაქტიკული განხორციელებისათვის. ცნობილია, რომ პოლონეთის მთავრობის ინიციატივით, რასაც მხარი დაუჭირეს ჩეხოსლოვაკიამ და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, წამოყენებული იყო წინადადება, რომ ამ სახელმწიფოთა ტერიტორიები შედიოდეს ატომური და წყალბადის იარაღისაგან თავისუფალ ზონაში, თუ დასავლეთ გერმანიის მთავრობა თავის მხრივ აგრეთვე უარს იტყვის განალაგოს დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე უცხოეთის ატომგულის იარაღი და არ მოაწყობს ასეთი იარაღის საკუთარ წარმოებას.

პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობებმა თანხმობა განაცხადეს მოაქციონ თავიანთი ქვეყნების ტერიტორია ასეთ ზონაში. ახლა სიტყვა ეკუთვნის ამ ზონის მეოთხე სახელმწიფოს — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი სავსებით უჭერს მხარს პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა წინადადებას, რომ ევროპაში შეიქმნას ატომური და წყალბადის იარაღისაგან თავისუფალი ზონა, და მზად არის თავის მხრივ გამართოს სათანადო მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებთან. ევროპის ცენტრში ასეთი ზონის შექმნა, რომლის მოსახლეობა 100 მილიონზე მეტი კაცი იქნებოდა, მნიშვნელოვნად შეცვლიდა ვითარებას ევროპაში.

საბჭოთა კავშირის აზრით, საჭიროა სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება, რომ შეწყვეტენ ომის პროპაგანდას, რომელიც დღითიდღე წარმოებს დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში პრესის, რადიოს, კინოს, ტელევიზიისა და სხვა საშუალებით. ომის პროპაგანდა დანაშაულია მშვიდობის წინააღმდეგ, ეგრეთწოდებული „სიტყვის თავისუფლების“ რა ყალბი არგუმენტებითაც უნდა ინიღბებოდეს იგი. განა ის ადამიანები, რომლებიც ახლა მოუწოდებენ, რომ ატომური და წყალბადის ბომბები დაუშინონ ქვეყნებს, რომელთა შინაგანი წყობილება მათ არ მოსწონთ, დიდად განსხვავდებიან იმ ჰიტლერელებისაგან, რომელნიც თერმეტი წლის წინათ საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე ბრალდებულთა სკამზე ისხდნენ და რომლებმაც ასეთივე მოწოდებებით დაიწყეს? განსხვავება აქ დიდი არ არის.

რადგან არ შეიძლება განიარაღების საქმე დავტოვოთ ახლანდელ ჩიხში, საბჭოთა მთავრობა აყენებს წინადადებას, რომ უახლოეს ხანში მოწვეულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია ან საერთაშორისო კონფერენცია განიარაღების შესახებ.

ამ მწვავე პრობლემების რაც შეიძლება მალე დადებითად გადაჭრას, უეჭველია, ხელს შეუწყობდა კაპიტალისტური და სოციალისტური სახელმწიფოების წარმომადგენელთა თათბირი მაღალ დონეზე, რაც საბჭოთა მთავრობამ წინათ განაცხადა.

გამალებული შეიარაღების განგრძობის კურსის მომხრენი ხშირად იმოწმებენ იმას, რომ ახლა, როცა საბჭოთა კავშირს უპირატესობა აქვს ყველაზე თანამედროვე სახეობის იარაღის დარგში, ასეთ კურსზე უარის თქმას ბევრი სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა ნეიტრალური სახელმწიფოები, შეეფასებენ როგორც დასავლეთის სახელმწიფოების, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების, სისუსტის აღიარებას. ისინი ამტკიცებენ, რომ აღნიშნული კურსის უარყოფა გავლენას მოახდენს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთლიანად ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ავტორიტეტსა და პრესტიჟზე.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოში მისი ზოგიერთი პარტნიორის ავტორიტეტსა და პრესტიჟს ძირს უთხრის სწორედ მათი პოლიტიკის ახლანდელი კურსი, და რაც უფრო დრო გავა, მით უფრო მეტად იჩენს ეს თავს. ამის შესახებ ყველაზე უკეთ შეუძლიათ მოგვითხრონ თვით ამერიკელებმა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის, „ომის ზღვარზე“ მსოფლიოს ყოლის პოლიტიკის შეცვლა სხვა პოლიტიკით, რომელიც მიზნად ისახავს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განვითარებას, უწინარეს ყოვლისა ვაჭრობის დარგში, პირიქით, ბევრად გაზრდიდა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე იმ სხვა სახელმწიფოთა ავტორიტეტსა და პრესტიჟს, რომლებიც ამერიკის პოლიტიკის ფარვატერში არიან.

საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც სხვა სოციალისტური სახელმწიფოები, ყველაფერს აკეთებს და კვლავაც ყველაფერს გააკეთებს, რაც კი მასზეა დამოკიდებული, რათა განამტკიცოს მშვიდობის საქმე და ყოველნაირად განავითაროს მეგობრობა და თანამშრომლობა ხალხთა შორის და წინანდებურად მთელი სიმტკიცით, გულწრფელობითა და მოთმინებით იბრძოლებს შეთანხმების მისაღწევად იმის შესახებ, რომ ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას, რომ კაცობრიობა განთავისუფლდეს გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხისაგან. ასეთ პოლიტიკას რომ ახორციელებს, ჩვენი ქვეყანა ეყრდნობა ჩვენი ხალხის მონოლითურ ერთიანობას, თავისი ეკონომიკის მზარდ ძლიერებას. მთელი სოციალისტური ბანაკის შემჭიდროებას, დღითიდღე მზარდ მშვიდობის ძალებს მთელ მსოფლიოში. **(მქუხარე ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია

21 დეკემბერს მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია. დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

დარბაზში მრავალი სტუმარია. სავსეა დიპლომატიური კორპუსის, საბჭოთა და უცხოეთის პრესის ლოჟები.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები **ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, მ. გ. პერვუხინი,** რომლებსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.

თავმჯდომარე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **პ. პ. ლობანოვი** სიტყვას აძლევს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს **ა. ა. გრომიკოს** პასუხის გასაცემად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვაზე, თუ რა მდგომარეობაშია განიარაღების საკითხთა განხილვა სახელმწიფოებს შორის.

სესიაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა დეპუტატმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა,** რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით ეგებებიან.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ა. ი. სნეჩკუსს.** კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების სახელით იგი კითხულობს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთსულოვნად იღებს დადგენილებას. დადგენილებაში მთლიანად მოწონებულია საბჭოთა მთავრობის საგარეოპოლიტიკური საქმიანობა, რომლის მიზანია ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცება. უმაღლესი საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა კავშირის, სახალხო ჩინეთისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა ხალხების ღონისძიებანი შეერთებული სხვა ხალხთა ღონისძიებებთან, რომელნიც იცავენ ყველა ერის შორის მშვიდობისა და მეგობრობის კეთილშობილურ საქმეს, წარმატებით დაგვირგვინდება და კაცობრიობა, რომელიც გადარჩება ახალი ომის საფრთხეს, შეძლებს მთელი თავისი ძალები მშვიდობიან შრომას მოახმაროს.

თავმჯდომარე ამბობს, რომ დღის წესრიგის ყველა საკითხი ამოიწურა, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას დახურულად აცხადებს.

(საკდესი).

დღეს სახალხო სასამართლოების არჩევნებია!

ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს!

ყველაფერი მზად არის ხმის მისაცემად

უჩვეულო გამოცოცხლებაა თბილისის კალინინის რაიონის № 9 საარჩევნო პუნქტში.

აგიტატორებმა ა. ვაშაკიძემ, რ. წერეთელმა, თ. გოგიშვილმა, ლ. ეორეიკაშვილმა და სხვებმა ერთხელ კიდევ შეამოწმეს ამომრჩეველთა სიების სიზუსტე, აღრიცხეს ამომრჩეველები, რომლებსაც ავადმყოფობის ან მოხუცებულობის გამო არ შეუძლიათ საარჩევნო პუნქტებში მოსვლა. არჩევნების დღეს ამომრჩეველებს კულტურულ მომსახურებას გაუწევს კლუბის თვითმოქმედი კოლექტივი.

ლამაზად გაფორმეს კაბინები და ხმის მისაცემი ოთახი ორჯონიკიძის რაიონის № 17 საარჩევნო პუნქტში.

უნივერსიტეტის კლუბთან არსებული თვითმოქმედი წრეები დღეს აქ საინტერესო კონცერტებს გამართავენ.

მაღალი აქტივობით

საუკეთესო ტრადიციად დამკვიდრდა, რომ საბჭოთა ადამიანები ყოველ არჩევნებს ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნავენ.

ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები უპატაკებენ სამშობლოს 1957 წლის გეგმების ვადამდე შესრულებას. ოცზე მეტი საწარმო მუშაობს მომავალი წლის ანგარიშში.

ავტომობილშენებელთა დაბის ტერიტორიაზე შექმნილია სახალხო სასამართლოების არჩევნების სამი საარჩევნო პუნქტი. ლამაზად და მიმზიდველად არის გაფორმებული № 1 საარჩევნო პუნქტი, რომელიც მუშათა კლუბის შენობაშია მოთავსებული.

დღეს, 22 დეკემბერს ერთსულოვნად მივლენ რა საარჩევნო ყუთებთან, ქუთაისის მშრომელები ხმას მისცემენ სახალხო მოსამართლეთა ხუთ და სახალხო მსაჯულთა 350 კანდიდატს.

(საკ. კორ.).

რედაქტორი პ. რატიანი.

შვილები გუგუ, გრიგოლ, რძლები საშა, სონია, სიძე ვ. ჩიქავა ოჯახებით იუწყებიან
თომა გრიგოლის-ძე ჩაჩიბაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XII, ზუგდიდში, გამოსვენება ძნელაძის ქ. № 7.

შვილები იასონ, ევგენი, შალვა, რძლები ევგენია, ქეთევან, ელენე შვილებით იუწყებიან
მარიამ ალექსანდრეს ასულ ჩრდილელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XII, 4 ს. ქ. გორში, გამოსვენება ბინიდან, კიროვის შესახვ. № 5.

მეუღლე სიმხა, შვილები დავით, შალვა, იაკობ, თამარ იუწყებიან
აბიშა იაკობის-ძე კოჟიაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 22-XII, 3 ს. გოგჩის შესახვ. № 7.

მეუღლე ელპიტე, შვილი სირა, დები ანეტა, ეკატერინე, სიძეები დ. კირვალიძე, ე. გოგლიძე ოჯახებით იუწყებიან
სიმონ პავლეს-ძე გრძელიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-XII, 8 ს. გამოსვენება 24-XII, 4 ს. რეზერვუარის ქ. № 26.

შვილები სეით, მამანტი, მიხეილ, ქეთევან, აგრაფინა, რიმა, სიძეები ს. აკიმჩეევი, ვ. ფურცელაძე; კოტე, დავით, თინა, მერი ხარაძეები, ქსენია, ნანი, ნოდარ ჭუმბურიძეები ოჯახებით იუწყებიან
სანდრო დემეტრიძე-ნატრიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-XII, სოფ. ხანში (მაიაკოვსკის რ.).

უე 05309 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 2